


მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(58) 2013 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი


# გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტია!

## ცესკო-ს მონაცემებით, გიორგი მარგველაშვილს (29 ოქტომბერი) ხმათა 62,11% აქვს



ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, უბნების 90, 99% დათვლილია. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ ბრიფინგზე განაცხადა, დათვლილია 3376 ძირითადი, ასევე 28 ე.წ. სპეციალური უბანი.

შედეგების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში 62,11%-ით კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს.

მეორე ადგილზე "ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძეა, რომელსაც მხარი ამომრჩევლის 21,9 %-მა დაუჭირა, შემდეგ პოზიციას კი – 10,06%-ით "დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე იკავებს.

წინასწარი მონაცემებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გიორგი მარგველაშვილმა მიიღო ხმების 66%, დავით ბაქრაძემ – 17%, ნინო ბურჯანაძემ – 9%.

## „რთველი-2013"

# მშვიდობიანი, ორგანიზებული და ბარაქიანი

ივრისპირეთში მიილია სართვლო კამპანია. განსაკუთრებული ემოციებით აფასებენ წლევანდელ რთვლობას გარეკახელი მევენახეები: მშვიდობიანი, ორგანიზებული და ბარაქიანი. მართლაც ყოველგვარი დაძაბულობის, ნევიულობის, გაუგებრობის გარეშე მოუწია გლეხს წლევანდელი მოსავლის დაბინავება. ასე არასოდეს დაფასებია გარჯა და შრომა, ასეთი მოგება გლეხს ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, არ ჰქონიაო, – ამბობენ კმაყოფილები. რთვლის პერიოდში მეტი პასუხისმგებლობა მოდიოდა თითოეულ მევენახეზეც, ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებულზეც და ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებზეც. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა კი სახელმწიფომ აიღო. სახელმწიფოს მიერ ღვინის მწარმოებელი კომპანიების პირდაპირი დახმარების წესით – შესაბამისი სუბსიდიის თანხით უზრუნველყოფამ, გლეხის მიერ საწარმოზე ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე ყურძნის მიყიდვამ, გლეხის კმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, სახელმწიფოსგან ორგანიზებული იყო „მწვანე" ჯიშის ყურძენზე სუბსიდიის გამოყოფაც, რაზედაც წინა წლებში გლეხი („მწვანეზე") ვერ იღებდა გარანტიას.

მთელი დატვირთვით მუშაობდნენ სააქციო საზოგადოება „ბადიაური" (დირექტორი თამაზ გეგეშიძე), სს „მანავი" (დირექტორი ზ. მჭედლიშვილი), შპს „საამო" საგარეჯოს პირველადი ღვინის გადამამუშავებელი ქარხანა (დირექტორი თ. ქვლივიძე), შპს „გილენი" (დირექტორი გ. ხვიტია), შპს „ბატონო" (ზ. დეკანოზიშვილი), შპს „კახეთი-3000" (გ. ერბოწონაშვილი).

„რთველი-2013"-ის შედეგების შესახებ ინფორმაცია ვთხოვეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავრ სპეციალისტს სოფლის მეურნეობის საკითხებში გია ბუჩაშვილს:***



– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის რთვლის შედეგები წინასწარ იყო გათვლილი, მაგრამ ვნახეთ, რომ ცნობამ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიის შესახებ, გლეხი დააინტერესა და მოწეული მოსავალიც პირდაპირ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხანაში მიიტანა. პროგნოზით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 3090 ტონა „საფერავის" ჯიშის ყურძენი უნდა მიეტანათ საწარმოებში, მაგრამ საწარმოებს 3681 ტონა ჩაბარდა. შიბლიანელებმა ამ ჯიშის 70 ტონა ყურძენი მიიტანეს, მზისგულიდან – 200, ყანდაურელებმა – 60, ბადიაურელებმა – 50, კაკაბელებმა – 620, ვერხვიანელებმა – 36, დიდი ჩაილურიდან – 470, პატარა ჩაილურიდან – 210, მანაველებმა – 726, თოხლიაურიდან – 480, გიორგიწმინდიდან – 240, საგარეჯოელებმა – 248, ნინოწმინდელებმა – 174, ხაშმელებმა – 102 ტონა.

„რქაწითელის" ჯიშის 4006 ტონა ყურძენი ჩააბარეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მევენეხეებმა ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს. აქედან, შიბლიანელებმა – 200 ტონა, მზისგულიდან –300, ყანდაურიდან – 196, ბადიაურიდან – 320, კაკაბეთიდან – 1100, ვერხვიანიდან – 250, დიდი ჩაილურიდან – 171, პატარა ჩაილურიდან – 35, მანავიდან – 824, თოხლიაურიდან – 280, გიორგიწმინდელმა – 150, საგარეჯოელებმა – 160, ნინოწმინდელებმა – 18, წყაროსთაველებმა – 2ტ. .

„მწვანეს" ჯიშის 1275 ტონა ყურძენი მიიტანეს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებში ჩვენი მუნიციპალიტეტის მევენახეებმა. აქედან შიბლიანელებმა – 33 ტონა, მზისგულიდან –24, ყანდაურიდან – 29, ბადიაურიდან – 44, კაკაბეთიდან – 400, ვერხვიანიდან – 48, დიდი ჩაილურიდან – 120, პატარა ჩაილურიდან – 47, მანავიდან – 400, თოხლიაურიდან – 120, საგარეჯოდან და ნინოწმინდიდან 5-5 ტონა.

ასევე, ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებში მიტანილ იქნა 171 ტონა ჰიბრიდული და სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა მევენახემ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს 50-60 ტონა ყურძენი მიჰყიდა. სახელმწიფო პროგრამის „რთველი-2013"-ის ორგანიზებულად ჩატარება მართლაც წარმატებით განხორციელდა ჩვენს მუნიციპალიტეტში, რამაც მეტი სტიმული მისცა ჩვენს მევენახეებს მომავალი წლის მოსავლის აქედანვე საფუძვლის ჩასაყრელად.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

**22 ოქტომბერი, 2013 წ.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციული თათბირი მიჰყავდა ამავე გამგეობის ***გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს*** **გიორგი ქურდოვანიძეს.** თათბირს ესწრებოდნენ გამგეობის სამსახურების უფროსები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები.

თათბირზე ზეპირი ინფორმაციები გააკეთეს ტერიტორიული ორგანოების: დიდი ჩაილურის, უდაბნოს, გიორგიწმინდის, უჯარმის, გომბორის, ხაშმის რწმუნებულებმა. როგორც დიდი ჩაილურის რწმუნებულმა არჩილ დიდებულიძემ აღნიშნა, სოფელში დასრულდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" მიმდინარე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას, სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია გზის მშენებელთა მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხით.

უდაბნოს რწმუნებულის მამია ჩართოლანის ინფორმაციით – მოხერხდა აღდგენა თოხლიაური-უდაბნოს სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზით სოფელ უდაბნოს მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება, მაგრამ კვლავ სასმელი წყლის გარეშე დარჩა სოფელი – აქ ბოლო დღეებში სასმელი წყლის მიმწოდებელი ელექტროძრავი იყო მნიშვნელოვნად დაზიანებული, რომელიც შეიცვალა ისევ ძველი, საბჭოთა წარმოების ძრავით, მისი ნაწილები სხვადასხვა სოფლებში მოიძიეს. საჭიროა ძრავის ახალი, თანამედროვე, გერმანული წარმოების ძრავით შეცვლა რადგან, ე.წ. „წყლის პომპასა" და ძრავს შორის ხდება შეუთავსებლობა.

გიორგიწმინდის რწმუნებულის გიორგი კევლიშვილის მიერ გაკეთებული ინფორმაციით, 22 ოქტომბერს დაიწყო გიორგიწმინდის სოფლის ცენტრალური გზის 2.6 კმ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

უჯარმის რწმუნებულის ვეფხია დიღმელაშვილის მიერ გაკეთებული ინფორმაციით, სასმელი წყლის მაგისტრალის სტიქიისგან დაზიანების გამო სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის არა მარტო უჯარმის, არამედ ხაშმის მოსახლეობაც, რომლებიც სასმელი წყლის ერთი და იგივე მაგისტრალით სარგებლობენ.

თათბირზე იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს ღონისძიებები იქ დასმული საკითხების მოსაგვარებლად.

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **პაატა ბუზარიაშვილი** უძღვებოდა. მან დეპუტატებს და მოწვეულ სტუმრებს დღის წესრიგი გააცნო.

### დღის წესრიგი:

***1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და განთავსების ნებართვის მიღების დამტკიცების შესახებ.***

***2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;***

***3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „საგარეჯოელების" დაფუძნება;***

***4. აიპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში" შემავალი ბაგა-ბაღების სამუშაო რეჟიმისა და სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულების განხილვა.***

***5. ამავე გაერთიანების თანამშრომლებთან შრომითი უსაფრთხოების მოსაწესრიგებლად შრომითი ხელშეკრულებების ფორმის დამტკიცება;***

***6. აიპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" განვითარების სტრატეგიული გეგმა.***

***7. აიპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცება;***

***8. აიპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცება.***

***9. სხვადასხვა.***

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2013 წლის 10 მაისის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა **პაატა ბუზარიაშვილმა**. თანამომხსენებელმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ესმა ტიგინაშვილმა** დეპუტატებს დეტალურად გააცნო მუნიციპალიტეტის გარე რეკლამის განთავსების ნებართვის წესი.



როგორც თანამომხსენებელმა აღნიშნა, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის სააუქციონო ფასის გარე სარეკლამო საშუალების ერთი კვადრატული მეტრისათვის, ყოველ სანებართვო წელზე, ქ. საგარეჯოს ცენტრალური ქუჩებისათვის განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით, კახეთის გზატკეცილზე განისაზღვრა 40 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე – 20 ლარის ოდენობით. რაც შეეხება გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის ფასად ფიქსირებული ფასის არჩევის განსაზღვრისას, ეს შემდეგნაირად მოხდება: ლოტის წლიური საფასური – გასაცემი სარეკლამო საშუალების 1 მ2-ზე განსაზღვრული შესაბამისი ფასის გამრავლებით სარეკლამო საშუალებების საერთო ფართობთან კვადრატულ მეტრებში; „ბე"-ს სიდიდე თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის არანაკლები 30 პროცენტისა; „ბიჯი"-ს სიდიდე თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის არანაკლები 10%-ისა. ამასთან, ნებართვის გამცემი უზრუნველყოფს ადგილობრივ ბეჭვდით ორგანოში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინტერნეტგვერდებზე ან შეხედულებისამებრ სხვა საინფორმაციო საშუალებებში აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას აუქციონის ჩატარებამდე არანაკლები 15 კალენდარული დღით ადრე.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების" შესახებ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მართვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა*** **თამარ უსტიაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებით, 2013 წლის ცხრა თვეში ცვლილება განიცადა ათჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 5819000 ლარიდან გაიზარდა 11248000 ლარამდე, ანუ გაიზარდა 5429000 ლარით.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი 99,3 ათასი ლარით და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გამოყოფილი 997 ათასი ლარით. მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახადების ზრდის ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე, მუნიციპალიტეტის 9 თვის შემოსავლებზე, გადასახადების გაცემაზე, კონკრეტული მაგალითებით მიმოიხილა გადასახადების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით და სხვა.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „საგარეჯოს" დაფუძნების, შესახებ მოხსენება გააკეთა **პაატა ბუზარიაშვილმა**. როგორც თანამომხსენებელმა, საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ **შოთა ხუნაშვილმა** აღნიშნა, საკრებულოში შემოსული განცხადების მიხედვით ფრაქცია „საგარეჯოელების" დაფუძნებას ითხოვდა დეპუტატთა ჯგუფი. საკითხის განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულება აღნიშნული ფრაქციის დაფუძნების შესახებ და ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ჰაჯან ალიევი**.

საკითხების **ა**. „არასამეწარმეო იურიდიული პირის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებაში" შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების სამუშაო რეჟიმისა და სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულების";

**ბ**. ამავე გაერთიანების თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების;

**გ**. გაერთიანების განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ მოხსენებები გააკეთა აიპ „საგარეჯოს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა **ელზა ბილაშვილმა**. მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს დეპუტატებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოუსმინეს, მომხსენებელს დაუსვეს კითხვები და აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა: ფრაქციის „თანადგომა – ბიძინა ივანიშვილს!" თავმჯდომარემ ლეილა ოტიაშვილმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ქურთიშვილმა, ეკა ბუზარიაშვილმა, ნელი ქაიხოსროშვილმა და სხვებმა. როგორც დეპუტატმა ლეილა ოტიაშვილმა აღნიშნა, ბაგა-ბაღის ყველა აღსაზრდელის მშობელის საფიქრალია და არა მარტო მათი, საბავშვო ბაგა-ბაღებში კვების რაციონის სიმცირე, კვების პროდუქტებზე სახელმწიფო სტანდარტების არარსებობა და ეს ყველაფერი სახელმწიფოს საზრუნავია, საკითხი უახლოეს მომავალში დადებითად უნდა გადაწყდეს, რაც საბავშვო ბაგა-ბაღებში ერთხელ და სამუდამოდ მოაწესრიგებს კვების საკითხს.

დეპუტატებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

## ტერიტორიული ორგანო

# უდაბნო



სოფელ უდაბნოს ხედი

მიწის საერთო ფართობი – 31 935ჰა
აქედან:
კერძო – 7007 ჰა
მუნიციპალური – 1458 ჰა
სახელმწიფო – 23 470 ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები – 27 607ჰა
აქედან:
კერძო – 7007 ჰა
მუნიციპალური – 1458 ჰა
სახელმწიფო – 19142 ჰა
მათ შორის:
სახნავი – 699 ჰა
აქედან: კერძო – 90 ჰა
სახელმწიფო – 609 ჰა
სათიბი – 436 ჰა
საძოვარი – 26429 ჰა
აქედან:
კერძო – 350 ჰა
მუნიციპალური – 1458 ჰა
სახელმწიფო – 24621 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები – 43 ჰა
აქედან:
კერძო – 43 ჰა.
მოსახლეობა
კომლი – 186
კაცი – 939
აქედან:
ამომრჩეველი – 567 კაცი.

**გავრცელებული გვარებია**: მარტიაშვილი, ჩართოლანი, გვიდანი, მარგიანი, ასუმბანი, კვანჭიანი, იოსელიანი, ჭინჭარაული, წიკლაური, გიგაური, დადვანი, ციქუბაძე, გვარამაძე, ჟონჟოლიანი, გვარლიანი, გობეჯიშვილი, გიბიშვილი, ფირცხელანი, ქანცლიანი, მურჯიკნელი, გურჩიანი, მურღულიანი, ხაჭვანი, თოდუა, ოთხუანი, ცინდელიანი, მაისურაძე, ბეგიაშვილი, საბაძე, ასლამაზიშვილი, თამლიანი და სხვა..

***სოფლის რწმუნებულია*** **მამია ჩართოლანი.**

*დაიბადა 1966 წელს მესტიის რაიონში.*

*1985-1987 წლებში იმსახურა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.*

*1990 წელს სწავლა დაიწყო სოხუმის ფიზკულტურის ინსტიტუტში.*

*იყო საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში.*

*აფხაზეთის ომის გამო ვეღარ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. 1992 წლიდან დატოვა აფხაზეთის ტერიტორია. ცხოვრობს სოფელ უდაბნოში.*

*2012 წლიდან უდაბნოს რწმუნებულია.*



მამია ჩართოლანი

სოფელში 2011 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განხორციელდა პროექტი და აქ შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია მოხდა, რაზედაც 12985 ლარი გაიხარჯა. უფრო ადრე, 2008 წელს აქ სასმელი წყლის ქსელების აღდგენას 1500 ლარი მოხმარდა. ამ წელსვე შეიქმნა სასმელი წყლის ქსელის რეზერვუარი (40800 ლარის სამუშაოები შესრულდა); 2010 წელს უდაბნოს სასმელი წყლის რეზერვუარის შესყიდვას 9600 ლარი მოხმარდა, წყალსადენის შუალედური სატუმბო სადგურის რეზერვუარის სახურავის მოწყობაზე 6600 ლარი გაიხარჯა, წყალსადენის შუალედური სატუმბო სადგურის მოწყობაზე 5900 ლარი.



დეპუტატი მაიზერ ბუჯეჯიანი

2009 წლიდან აქ უჯარმიდან თვითდინებით 45 კმ-ის სიგრძის სასმელი წყლის მაგისტრალი გაკეთდა. მისმა ღირებულებამ 2 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა, შემდეგ გარკვეული სამუშაოების ჩასატარებლად სამუშაოების შესრულებას 800 ათასი ლარიც დაემატა და დიდი ძალისხმევით სოფელში სასმელი წყალი შემოვიდა, შემოვიდა გარკვეული პრობლემებით. მაგისტრალი ხშირად ზიანდება სართიჭალის ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, სადაც იქაურ მეცხვარეებს ფერმები

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
## ტერიტორიული ორგანო
# უდაბნო

**დასასრული**

აქვთ. აქ მესაქონლეობის 6 ბინაა განლაგებული. თვითდინებით წამოსულ წყალს უმნიშვნელო დაზიანების დროს ემატება ჰაერი და წყალი წყდება. ოქტომბრის დასაწყისიდან სწორედ ეს პრობლემა აქვთ უდაბნოელებს – წყალი უჯარმიდან წყლის მაგისტრალის დაზიანების გამო აღარ მიეწოდებათ. დღის წესრიგში დგება მაგისტრალის გაკონტროლების საკითხი, მაგრამ აქ სოფლის ხელმძღვანელობას არავითარი ბერკეტი არ აქვს. უჯარმაში წყალსადენს ერთი მარეგულირებელი ჰყავს, მიზერული ხელფასით. იძულებული ხდებიან თავად უდაბნოელებმა გააკეთონ დაზიანებული ადგილები. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ თოხლიაურიდან სასმელი წყლის მომწოდებელ მაგისტრალზე. ეს მაგისტრალი გასული საუკუნის 80-იან წლებშია გამოყვანილი, რის გამოც ზიანდება კოროზირებული მილი. ამასთან, მაგისტრალიდან ახლო მდებარე მესაქონლეები – 24 ფერმის მეპატრონეები, თვითნებურად აზიანებენ მაგისტრალს და საჭიროებისათვის იყენებენ წყალს, ზოგჯერ უმიზეზოდ იხარჯება წყლის დიდი მარაგი. თოხლიაურიდან სასმელი წყლის მაგისტრალის სიგრძე 35 კმ-ია. უდაბნოს მოსახლეობისათვის მკაცრი კლიმატური პირობები არ წარმოადგენს ისეთ დიდ პრობლემას, როგორც სასმელი და საერთოდ, სახმარი წყლის დეფიციტი. ოქტომბერში სასმელი წყლის ორივე მაგისტრალი დაზიანებულია – თოხლიაურიდან – უდაბნოს ქვედა სატუმბის ძრავი გადაიწვა, ამას ზედ დაერთო უჯარმა-უდაბნოს მაგისტრალის მრავლობითი დაზიანებები სართიჭალაში და სოფელი უწყლოდ დარჩა. მართალია, მათზე იზრუნა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და წყალი ცისტერნებით მიაშველეს, მაგრამ მესაქონლეობის პროფილის სოფლისათვის წყალი ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია... თვითდინებით აქ წამში 18 ლიტრი წყლის მიღება შეიძლება უჯარმიდან, თოხლიაურიდან კვირაში ორჯერ თითო კომლისათვის ერთ ჯერზე მოწვდილი 2-2 ტონა წყალი მართლაც რომ საკმარისია სოფლისათვის, მაგრამ...

სასმელი წყლის პრობლემა უდაბნოელთათვის მუდმივი პრობლემაა, რომლის გადაჭრას მომავალი წლიდან გეგმავს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. აუცილებელია ამ მაგისტრალის გაკონტროლება. საჭიროა აქტიურად ჩაერთოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც ქმედით ღონისძიებებს გაატარებენ და პასუხისგებაში მისცემენ პირს, ვინც მაგისტრალს დააზიანებს. 21 ოქტომბრიდან სოფელს სასმელი წყალი თოხლიაური-უდაბნოს მაგისტრალიდან უნდა მოეწოდებოდეს. აქ სოფლის თავკაცის დიდი ძალისხმევით, რომელსაც სოფლის ახალგაზრდობაც მიეხმარა, ძველი ძრავის შერემონტებით შეძლეს ძრავის ჩადგმა , მაგრამ ე.წ. „პომპა“ ვეღარ აამუშავეს. თუ რა შრომის, გარჯის ფასად უჯდებათ მათ ამ საქმის კეთება სოფელმა კარგად იცის.

სოფელში ფუნქციონირებს **საჯარო სკოლა,** რომლის ***მენეჯერია*** **ნინო არევაძე**. მანამდე ნინო სკოლაში 8 წლის განმავლობაში ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა.



**ნინო არევაძე**

სკოლაში 116 მოსწავლის განათლებას 23 მასწავლებელი ემსახურება. მათგან სოფლის ამაგდარ მასწავლებლებს ნარგიზა სამსიანს, ეთერ ანანიაშვილს, დალი ჭიკაძეს, მარიამ გელაშვილს დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობიან. წელს პირველ კლასში 9 მოსწავლე ჰყავთ, მეთორმეტეში – 3. ჰყავთ წარმატებული მოსწავლეები: ნინო ხაჭვანი, ნაზი გულბანი, მაკა გუჯეჯიანი, ანა ჟორჟოლიანი, ნიკა ჩახმახაშვილი, მახარე გულბანი, თამარ ჩართოლანი, ტატო ჩართოლანი.

სკოლას აქვს ფიზიკისა და ინფორმატიკის კაბინეტები.

მართალია, 2010 წელს სკოლის შენობას გაუკეთდა გადახურვა და შემინვა, რაზედაც სულ 3500 ლარი გაიხარჯა, მაგრამ მკაცრი კლიმატური პირობების გამო შენობას ვერ ათბუნებდნენ. მიმდინარე წლის ზაფხულში სკოლის შენობის სახურავი მთლიანად შეიცვალა – შიფერის ნაცვლად იგი თუნუქის ფურცლებით გადაიხურა, ფანჯრები შეიცვალა მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, გამოიცვალა თერთმეტი კარები. მაგრამ, ამჯერად პრობლემად რჩება სკოლის შენობას საკმაოდ მოცილებული სველი წერტილები და სასმელი წყლის უქონლობა.

სოფლის ***საბავშვო ბაღი*** (***მენეჯერი*** **ნელი კორძაია**) სერიოზულ რემონტს მოითხოვს. შენობა 1983 წელსაა აშენებული და აქაური კლიმატური პირობების გამო უკვე ისეთ მდგომარეობაშია, უჭირთ აქაურებს ამ პირობებში მეცადინეობების ჩატარება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მათ კაპიტალური რემონტის ჩატარებას დაჰპირდა, ან ახალი კოტეჯის მშენებლობას, რაშიც აქტიურადაა ჩართული ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, რომლის დიდი მადლიერია აღსაზრდელთა მშობლები. საბავშვო ბაღში გადასახადის გაუქმებამ აღსაზრდელთა კონტიგენტი გაზარდა. გასულ წელთან შედარებით, ახლა უფრო ბევრი ბავშვი ჰყავთ – 33. ორი ჯგუფის აღსაზრდელებთან გამოცდილი პედაგოგები ანიკო მაისურაძე და ქეთინო ჩოკოშვილი მუშაობენ. წელს 2-3 წლიანებიც მიიღეს.



**ნელი კორძაია**

სოფლის მოსახლეობას გამოცდილი თერაპევტი, ოჯახის ***ექიმი*** **ნანა კოხტაშვილი** ემსახურება. ის ყოველდღე, ან კვირაში ორჯერ მზისგულიდან ჩამოდის სოფელში. ძველი საექიმო ამბულატორიიდან აქ კარკასიღაა შემორჩენილი, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობისა და მაჟორიტარი დეპუტატის დახმარების იმედი აქვთ აქაურებს.

საკლუბო მუშაობის ***სპეციალისტი*** **ფიქრია მარგიანი** უდაბნოს ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „კასლეთილას“ ხელმძღვანელიცაა. „კასლეთილამ“ არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა, მათი შემოქმედება პოლონელმა მაყურებელმაც იხილა და უმაღლესი შეფასება მისცეს. „კასლეთილას“ ყველა თაობის მანდილოსნები სულზე მეტად უფრთხილდებიან სვანურ სიმღერებსა და ცეკვებს, ისეთი მუხტით მოაქვთ მსმენელამდე და ისე აცოცხლებენ სვანურ ფოლკლორს, ერთი ათად რომ ჩანს სვანეთის მონატრებაც და ყველაფერი სვანურისადმი პატივისცემა და სიყვარულიც. მათ გაკვალულ გზას მიჰყვებიან ანსამბლი „პატარა გარეჯელები“ და მოცეკვავე გოგონების ჯგუფი „უდაბნოს შვილები“ (ქორეოგრაფი **თამუნა მარგიანი**). სოფელს ძალიან უნდა ჰქონდეს სამუსიკო სტუდიის მსგავსი, სადაც აქაური პედაგოგი მათ შვილებს ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას შეასწავლის.

უდაბნოს სახელგანთქმული მოჭიდავეებიც ჰყავს.

გუჯა ხაჭვანი (ამჟამად დოდოს რქის მონასტრის ბერი მამა პავლე), დავით ასუმბანი, დევიკო გობეჯიშვილი. მათ ტრადიციებს აგრძელებენ პატარა უდაბნოელები, რომელთაც ლაშა ფირცხელანი და ირაკლი დადვანი ჰყავთ მწვრთნელებად. ისინი სკოლის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ, ცალკე დარბაზი არ აქვთ.



**მარტიაშვილების ოჯახი**

1947 წლიდან ცხოვრობენ აქ მარტიაშვილები. გიორგი და ოფელია (ჟონჟოლაძე) მარტიაშვილების თვალწინ გაიზარდა, გამრავლდა სოფელი. თავდაპირველად აქ რუსებსაც უცხოვრიათ, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. ხვავითა და ბარაქით სავსე სოფელი ქართულ ოჯახებსაც იზიდავდა და სხვა ეროვნებისასაც. თავდაპირველად გიორგი მეცხვარე იყო, ოფელია მეტეოროლოგიურ სადგურში მუშაობდა მეტეოროლოგად, შემდეგ კი მათი შვილებიც მამის კვალს გაჰყვნენ და ოთხივე ვაჟი მექანიზატორებს შორის პირველობას არავის უთმობდნენ. შემდეგ პირველი ტკივილიც იყო, მათ თამაზი გამოაკლდათ. აღარც გიორგია ამქვეყნად. ახლა სოფელში ვანო ცხოვრობს ოჯახით. მეუღლე იამზე წალკიდანაა, მაგრამ უდაბნო უფრო მეტად უყვარს. ქალბატონი ოფელია 82 წლისაა. 66-ე შემოდგომას მასპინძლობს უდაბნოში. რომ ჰკითხოთ, ახლიდან ცხოვრებას სად ისურვებდიო, ისევ უდაბნოს ავირჩევდიო, – ამაყად და სიხარულით მიპასუხა. – მაგრამ ადრე უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა გვქონდა, ერთ ოჯახად ვცხოვრობდითო, – მითხრა – ჩვენს ქალებს ქსოვაც კარგად ეხერხებათ, გარდა საქონლისა და ბოსტნის მოვლისა, მაგრამ გასაღების ბაზარი არ მოიძებნება.ჩვენთან ჭირს მისვლა-მოსვლა, გზები გასაკეთებელია. სოფელი უწყლობასაც განიცდის, შარშან უფრო მეტად გვიჭირდა წყალი, მაგრამ სოფელი იტანს, იმიტომ რომ შეუძლებელი არაფერია, იმ წყალსაც გამოიყვანენ ნორმალურად. მტკივა, სოფლიდან ახალგაზრდობა რომ მიდის, აქ ვერ საქმდება კაცი. ჩვენს სოფელში ხეზე ჭრა ეხერხებათ. ციოყ იოსელიანისა და გუსარ თამლიანის ნაკეთობას წუნს ვერავინ დასდებს, მაგრამ, ხის მასალის შოვნა, ყიდვა და შემდეგ გაყიდვა უჭირთ, შვილო.

სოფელში 44 ჯარგამოვლილია. ისინი ერაყის, ავღანეთის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს ომის მონაწილეები არიან. მამუკა ქარცლიანი მძიმედ იყო დაჭრილი.

**სოფელში დღესაც არის პრობლემები, რომელთაგან გამოსაყოფია:**

***სოფლის შიდა გზები (რომელთა სიგრძე 8-10 კმ-ია) ისეა დაზიანებული, მანქანებს უჭირთ მოძრაობა, არ არის ქუჩის განათება, კვლავ გასატანია წლების წინ მშენებელთა მიერ დანგრეული შენობების ნარჩენები, რომლებიც არა მარტო აუშნოებს სოფელს, არამედ ქვეწარმავლების ბუდედაცაა ქცეული. მალე მოწესრიგდება სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხი. აქ საამისოდ დაიდგმება ურნები.***

გასულ წელს უდაბნოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სარიტუალო სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, რომელზეც 15916 ლარი გაიხარჯა. მიმდინარე წელს კი მისთვის საბოლოო სახის მისაცემად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 17 818 ლარი გაიხარჯება.



**უხუცესი აიშათ ჟორჟოლიანი და ნატალი მარგიანი**



**უდაბნოელები**

მუნიციპალიტეტის ინფრა-სტრუქტურა

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება










სახანძრო-სამაშველო სამსახური

# ძველი აღჭურვილობით სტიქიის პირისპირ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური (უფროსი ზაქარია ოტიაშვილი) 1988 წლიდან იმ შენობაშია, რომელშიც ადრე კვების ბლოკიც იყო, საშხაპეც, დასასვენებელი ოთახიც. შემდეგ კი... ისევე, როგორც სხვა შენობები, ისიც ნელ-ნელა ხელშესაშველებელი გახდა. მართალია, ამ რამდენიმე წლის წინ სახურავი გადაიხურა, მოეწყო საშხაპე, მაგრამ დასასვენებელი ოთახი დღემდე (17 ოქტომბერი) გასარემონტებელი, მოსაწესრიგებელი იყო. რამდენიმე დღეში ეს ოთახიც გალამაზდება-გამშვენდება. აქ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაღებული თანხებით სწორედ ისე მოწესრიგდება, როგორც ამ სამსახურის თანამშრომლებს შეეფერებათ. ეს ბიჭები კი, უფრო სწორად სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გამოძახების შემთხვევაში, ყოველ წუთს განსაცდელის წინაშე არიან... არავინ იცის, სტიქიასთან ბრძოლა რა შედეგით შეიძლება დამთავრდეს... თუმცა, ისინი ისეთი გამოცდილები არიან, ვერც ერთი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ვერ დაუდებენ ტოლს. მიუხედავად იმისა, რომ სამივე სახანძრო მანქანა-ცისტერნა კარგა ხანია ამორტიზებულია (1986 წელს კომუნისტების დროს ნაყიდი მანქანები ორჯერ ჩამოწერასაც იმსახურებს, მაგრამ...) არც სამზარეულო ბლოკია მოწესრიგებული.... თანაც არც სპეცმანქანა აქვთ, რომლითაც ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდებიან (ასეთ შემთხვევაში ისინი ან სახანძრო ცისტერნებით გადაადგილდებიან, ან პირად საკუთრებაში არსებული მანქანებით), არც ავტოსაგზაო, ან უბედური შემთხვევის დროს რკინებს შორის მოყოლილი ადამიანის გამოსახსნელი სპეციალური იარაღები აქვთ... თუმცა, სიმართლე გითხრათ, ისინი, ზაქარია ოტიაშვილით დაწყებული, მეელსმეენებით დამთავრებული, ამაზე არ წუწუნებენ. უბრალოდ, აკეთებენ იმას, რაც მათ ევალებათ და რასაც ისინი – მაშველები უნდა აკეთებდნენ. 33-ვემ იცის, რომ მათი იმედი აქვს ცეცხლსა თუ წყალში, გასაჭირში, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანსაც და მათაც, ვინც სტიქიასთან უძლურებს მაშველების დანახვაზე შვებით ამოისუნთქებენ – მაშველები მოვიდნენ და ყველაფერი კარგად იქნებაო...




– გასულ წელს, მარტო მარტში 96 გამოძახება იყო ხანძარზე, – გვეუბნება სამსახურის უფროსი ზაქარია ოტიაშვილი, – როცა ზარი ხაშმიდან შემოდიოდა – ვენახი იწვის, ან მინდორში ხანძარიაო, ვიცოდით, იმავე დღეს ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა თოხლიაურში, მანავში. ეს იყო რაღაც აუხსნელი, გამოუცნობი მდგომარეობა. გასული წლის ოქტომბერში უკვე 160 გამოძახება იყო, წელს კი 79 შემთხვევაა (28 ოქტომბრის მონაცემებით). ზარალმა 85800 ლარი შეადგინა. ხანძრის შემთხვევა შენობა-ნაგებობებზე (საცხოვრებელი, სამრეწველო) 15 იყო (ზარალმა 79000 ლარი შეადგინა). აქედან 2 შემთხვევაში 2 შენობა-ნაგებობა განადგურდა, 13 დაზიანდა. კაკაბეთში პურის საცხობი, სახლი, ხაშმში პარკეტის საშრობი საამქრო, ქ. საგარეჯოში ქეთევან წამებულის, სათავისა და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე ხანძრისგან სრულ განადგურებას ჩვენი მეხანძრეების სიმარჯვით გადარჩა საცხოვრებელი სახლები. ასევე, 26 ოქტომბერს 22 საათსა და 05 წუთზე ზარი შემოვიდა ქ. საგარეჯო, კიკვიძის ქუჩიდან. შველას ითხოვდნენ – იწვოდა ორსართულიანი სახლის სახურავი – ჭერი. ადგილზე 8-10 წუთში გამოცხადდა ცვლის უფროსის გაბო ილაურის ჯგუფი, მძღოლი სუტო ამაროვი, მეხანძრეები: გივი ხატიაშვილი, დავით რუსიშვილი, თამაზ გილაშვილი, ერთი მანქანის წყლით მოხერხდა წყლის ლოკალიზება, მეორე მანქანის (მძღოლი გიორგი ქურდოვანიძე) გამოძახება გახდა აუცილებელი. ხანძარი მთლიანად ლიკვიდირებული იყო 23 საათზე. აღმოჩნდა, რომ საღამოს ბუხარში დანთებულმა კვამლმა გასაწმენდი კვამლსადენი მილის დაზიანება გამოიწვია. ამ დაზიანებამ ახლოს გამავალი ელექტროგაყვანილობა დააზიანა და გაითიშა დენი, მაგრამ სამაგიეროდ ცეცხლი მოედო სახურავს. ცეცხლმა 35-40 კვადრატული მეტრი ჭერის განადგურება შეძლო. ზარალს გადარჩა ტყის მასივი, სამეურნეო დანიშნულების 1 შენობა-ნაგებობა. ტრანსპორტზე ხანძრის 5 შემთხვევა იყო და ხანძრისგან მიყენებულმა ზარალმა 3000 ლარი შეადგინა, ღია ტერიტორიაზე ხანძრის 50 შემთხვევამ 3650 ლარის ზარალი მოიტანა. იყო სხვა სახის გასვლებიც, სპეცდავალებები, ავტოსაგზაო შემთხვევები, სამაშველო გამოძახებები, სულ 49 გასვლა. ათ თვეში 127 გასვლა იყო, მაგრამ იყო ფიქტიური გამოძახება – 6. აქ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ფიქტიურში მხოლოდ „ცრუ“ გამოძახება იგულისხმება. შეიძლება დაგვირეკონ, გავიდეთ ადგილზე, მაგრამ ხანძარი უკვე აღარ დაგვხვდეს, თავად იქ მყოფმა ხალხმა მოახერხოს ხანძრის ლოკალიზება, მაგრამ, თუ ხანძარი ძლიერია, მაშინ ჩვენი მისვლა მართლაც დროულად უნდა მოხდეს. სატელეფონო ზარის შემოსვლიდან 1 წუთში გადის სამაშველო ეკიპაჟი ადგილზე, მაგრამ მოდით და ვთქვათ, რამდენი კილომეტრითაა დაშორებული მთის სოფლები, უდაბნო, შიბლიანი, აზერბაიჯანული სექტორი. დღის წესრიგში ცეცხლმაქრ მანქანებთან ერთად დგება შორეულ სოფლებში ხანძარსაწინააღმდეგო პუნქტების გახსნა.

ჩვენი სამსახურის თანამშრომლები 2 საქმეს ვემსახურებით – ხანძრის ქრობა და სამაშველო სამსახური. მართალია, გავიარეთ შესაბამისი სწავლება, ჩვენი ეკიპაჟის მეხანძრე-მაშველებმა იციან დახმარების ადგილზე აღმოჩენა, ვთქვათ, ქიმიური მოწამვლის, ხანძრის, ავტოსაგზაო შემთხვევის გამო დაზიანებული მანქანის სალონში ჩაკეტვის დროს დაზარალებულის დახმარება, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი იარაღი და არც შტატები გვყოფნის. ხანძრის ქრობას წყლის გარკვეული მოცულობა სჭირდება, ჩვენს ცეცხლმაქრ ცისტერნებს კი მხოლოდ 2 ტონა წყლის ტევადობა აქვს. შემთხვევის ადგილზე მისულები ყოველთვის სარეზერვო წყლის შესახებ ინფორმაციას ვიძიებთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა ცალკეულ სოფლებში – წყალი არ არის. ანალოგიური სიტუაციებია თავად საგარეჯოშიც. ორი ათეული წლის წინ საგარეჯოში იყო წერტილები ე.წ. „ჰიდრანტები“, სადაც შეიძლებოდა წყლის აღება – საკოლმეურნეო ბაზრის, რაიკავშირის, სტამბის, მრავალბინიანი სახლების და სხვა ეზოებში. ასევე, აუცილებელია, ყველა დიდ შენობაში იყოს შიდასახანძრო ონკანები. ამაზე საუბარიც იყო – მუშავდებოდა სტრატეგიული გეგმა „ჰიდრანტის“ დასადგმელად საგარეჯოში, მაგრამ...

ჩვენი სამსახური, ასევე, ამოწმებს ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური კუთხის მდგომარეობას ცალკეულ ობიექტებში. შესამოწმებელია 121 ობიექტი, აქედან დღეისათვის შემოწმებულია115 ობიექტი. შემოწმებულია საარჩევნო 49-ვე უბანი. დღეს არის ობიექტები, სადაც არ არის ცეცხლმაქრი. მიზეზი შეიძლება ისიცაა, რომ ეს გარკვეულ თანხებთანაცაა დაკავშირებული და მოძიებაცაა საჭირო, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ... მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 60%-ს შენობაში აქვს ცეცხლმაქრი, ასევეა საბავშვო ბაღებიც, მაგრამ ეს ისეთი ხალხმრავალი ადგილებია, ყველა შენობას უნდა ჰქონდეს ცეცხლმაქრი...

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეხანძრე-მაშველები უახლოეს მომავალში ახალ სახანძრო მანქანა-ცისტერნებს ელოდებიან, რომლის შესაძენი თანხა (250 ათასი ლარი) მართლაც რომ დიდია, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეც, დამეთანხმებით, უფრო ძვირია...




საზოგადოებრივი აზრი

# „კანარგო-ჯორჯია“ და საგარეჯოელები

შპს „კანარგო-ჯორჯიასა“ და ნავთობსაძიებო სამსახურების მუშაკების 9 აგვისტოს შეხვედრა საგარეჯოელებთან ერთგვარი შეთანხმებით დამთავრდა – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნებოდა საინიციატივო სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა და შემდეგ გააცნობდა საგარეჯოელებს გერმანული გეოფიზიკური სადაზვერვო პარტია DMT-ს შპს „კანარგო-ჯორჯიას“ შეკვეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში ნავთობის საბადოების ორგანზომილებიანი ბურღვა-აფეთქების მეთოდით საძიებო სამუშაოებს და ამ ბურღვა-აფეთქებების შემდგომ შედეგებს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სადაზვერვო პარტია ისე მუშაობდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომ მათი საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა. ინფორმაციის უქონლობამ კი ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.ვინ სასმელი წყლის დაბინძურება-დაკარგვაზე, ვინ ჰაერის დაბინძურებაზე, ვინ ვითომდა მოსალოდნელ საშიშროებაზე საუბრობდა. ამან მოსახლეობის ერთი ნაწილის დაპირისპირება გამოიწვია ნავთობის საძიებო ჯგუფთან. მოსახლეობამ რამდენიმე ადგილზე მათ მუშაობის საშუალება არ მისცათ. მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, ამ დაპირისპირების განმუხტვა ისევ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგარეჯოს სამოქალაქო ზედამხედველობის ინსტიტუტმა“ (დამფუძნებელი ვახტანგ გზირიშვილი) ითავა. სწორედ იქ, იმ შეხვედრაზე ისაუბრეს DMT-ს საძიებო სამსახურის შპს „კანარგო-ჯორჯიასა“ და მისი პარტნიორი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელმა პირებმა, რომ საქართველოში 423 კმ საძიებო ზოლიდან 131 კმ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფართობზეა. თუ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება, მაშინ გაიზრდება ნავთობის მოპოვება და შპს „კანარგო-ჯორჯიას“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანი ფინანსები უფრო გაიზრდება. ამასთან, ამ შემთხვევაში გამოჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, სადაც საგარეჯოელები დასაქმდებიან, ამ თანხებით მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მათი მუშაობა აქ მოსახლეობას რაიმე ზიანს მიაყენებს, ზარალი აუნაზღაურდებათ. მათ არც ის დაუმალავთ საგარეჯოელი საზოგადოებისათვის, რომ საქართველოში 100 მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებენ, აქედან 50 მილიონი კი საგარეჯოზე მოდის. ამ შეხვედრაზე ერთგვარი მობოდიშებაც იყო იმის შესახებ, რომ აქამდე მათ ადგილობრივ მოსახლეობას არ მიაწოდეს ინფორმაცია თავიანთი მუშაობის შესახებ. შპს „კანარგო-ჯორჯიას“ წარმომადგენელი მიხეილ ნიბლაძე დამსწრე საზოგადოებას შეჰპირდა – მათი სამუშაოების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მიაწვდის მათ. აქვე შეახსენათ, რომ შექმნილია სამუშაო ადგილები საგარეჯოელებისათვის, სადაც 120 საგარეჯოელი, პატარძეულელი, ნინოწმინდელი იყო უკვე დასაქმებული, რომ ისინი გზებს აწესრიგებენ მთიან და ტყის მასივებით დაფარულ ადგილებში და მომავალშიც ჰპირდებოდნენ მოსახლეობას ჯანდაცვის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან დახმარებებს. ამასთან, ისინი თავიანთ თავზე იღებდნენ წყალგაყვანილობის მოწესრიგებას, ჰაერის სინჯების აღებას, გარემოსა და წყლის უსაფრთხოების, მისი დაბინძურებისაგან დაცვაზე.



მაგრამ, მაშინ შეთანხმება ვერ მოხერხდა. შეთანხმება მოხდა მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის შექმნაზე.

როგორც ჩვენთან ამ დღეებში საუბარში (17 ოქტომბერი) არასამთავრობო ორგანიზაცია „საგარეჯოს სამოქალაქო ზედამხედველობის ინსტიტუტის“ დამფუძნებელმა ვახტანგ გზირიშვილმა აღნიშნა, აგვისტოშივე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, ქ. საგარეჯოს ეკოლოგიური საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ინჟინერ-მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა მაგისტრი ალექსანდრე ჩაფიძე, კომისიის მდივნად – პედაგოგი დარეჯან გილაშვილი, ხოლო წევრებად: ეკოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანზორ ჩაფიძე, გეოლოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა მაგისტრი კობა მჭედლიშვილი, ეკოლოგები: სოლომონ ჯამალაშვილი, გიორგი ბეროშვილი, მელიორატორი სოსო კავთუაშვილი, იურისტები ზვიად დარისპანაშვილი, ვახტანგ გზირიშვილი, ეკონომისტები ავთანდილ ფანოზიშვილი, სულიკო ყანდარელი, უშანგი ილაური, მეტყევე ინჟინერი დავით ქურხული, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი ალექსი არაბული, გეოლოგი გიორგი გრატიაშვილი, ბიზნესმენები ბეჟან ანუაშვილი, თემურ უსტიაშვილი, სანჰიგიენის სპეციალისტი ნანა ქურხული, სულ 18 კაცის შემადგენლობით. ***კომისიამ ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა (საუბარი ეხება თვალთხევის შემკრებ ხეობაში ჩატარებულ სამუშაოებს) და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ არ შეიძლება საძიებო სამუშაოების ჩატარება, მძიმე ტექნიკის შესვლა, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. ეს გამოიწვევს სასმელი წყლის დაკარგვას,*** რაც მძიმედ აისახება ქალაქის 14 ათას მოქალაქეზე. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შევხვდით ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს თინათინ ხიდაშელს, ვესაუბრეთ მას, ავუხსენით მდგომარეობა და დაგვპირდა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებს შეხვდებოდა და გაესაუბრებოდა ამ საკითხზე, რათა უფრო კარგად გარკვეულიყო საქმის ვითარებაში. ქალბატონმა თინათინმა მზაობა გამოთქვა და მართლაც აქტიურად ჩაება ამ საკითხის შესწავლასა და სათანადო დასკვნების მოპოვებაში, რომელსაც გარკვეული დრო დასჭირდება. მაგრამ, დრო აღარ ითმენდა, მოსახლეობის დაპირისპირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საძიებო ჯგუფთან აღარ გვინდოდა. კომისიამ კომპეტენტური დასკვნებით დაუმტკიცა შპს „კანარგო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას, რომ თვალთხევის წყალშემკრებ ხეობაში არ შეიძლებოდა საძიებო სამუშაოების ჩატარება. შპს „კანარგო-ჯორჯია“ ამ დათმობაზე მართლაც წამოვიდა – ეს არის სიტყვიერი პირობა. ახლა მათი სამუშაოების მოცულობა დაპატარავდა, ეს რუკიდანაც კარგად ჩანს. ასე, რომ საგარეჯოს სასმელ წყალს ჯერჯერობით დაკარგვა არ ემუქრება – თვალთხევის შემკრებ ხეობაში სადაზვერვო პარტია DMT-ს მიერ აღარ ჩატარდება საძიებო სამუშაოები.

## საგარეჯოს სასმელი წყალი

# საიდან ხდება „სათავის“ წყალმომარაგება

ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის იყენებენ როგორც ნიადაგქვეშა, ისე ზედაპირული წყლის წყაროებს.

წყალმომარაგებისათვის შერჩეული ამა თუ იმ სახის წყაროსადმი წაყენებული ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნები კი იმაში გამოიხატება, რომ იგი ბუნებრივ მდგომარეობაში, ან გადამუშავების შემდეგ არ უნდა იყოს გაბინძურებული პათოგენური მიკრობებით. მისი ქიმიური, ფიზიკური, ორგანოლეპტიკური თვისებები უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმატივებს, არ შეიცავდეს მომშხამავ და რადიოაქტიურ ნივთიერებებს.

ამ საერთო მოთხოვნათა ჭრილში სათანადო ჰიგიენური შეფასება და შედარებითი სანიტარული დახასიათება უნდა მივცეთ წყალმომარაგების სხვადასხვა წყაროებს.

ნიადაგქვეშა წყლები განლაგების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ზედაფენის, გრუნტისა და არტეზიული წყლები.

ზედაპირული წყლები უშუალოდ მიწის ზედაპირთანაა და წარმოიშობა მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც წყალგაუმტარი, ან ნახევრად წყალგამტარი ქანები განლაგებულია მიწის ზედაპირიდან ახლო მანძილზე



და გრუნტის წყლების ზემოთ. ზედაფენის წყლების კვების რეჟიმი არასტაბილურია, რადგან მათი წარმოშობა და რაოდენობა დამოკიდებულია ატმოსფეროს ნალექებზე.

გრუნტის წყლები იმავე გზით წარმოიშობა, როგორც ზედაფენის წყლები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი ნელი ჩაფილტვრის სიღრმე აღემატება 2-3 მეტრს. გრუნტის წყლები ფილტრაციის შემდეგ გროვდება წყალგაუმტარ, ანუ წყალსაბჯენ ფენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,გასაგებია,რომ საგარეჯოს წყალმომარაგება, რომელიც ძირითადად საგარეჯოს სათავიდან ხორციელდება, ამ ორი ტიპის წყალმომარაგების ნაზავს წარმოადგენს და ყოველთვის დამოკიდებული იქნება ნალექებზე, ტყის სიხშირეზე. ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს, რომელსაც ჩვენ თვითონ ვჩეხავთ და დაუდევრად ვექცევით. იქნებ მიზეზი წყლების დაკარგვისა სწორედ ჩვენს მოქმედებაშია, იმაში, რომ ტყეს ვერ ვპატრონობთ, ვერ ვუვლით, როგორც საჭიროებს და როგორც მომავლის წინაშე გვევალება. ხოლო რაც შეეხება მეორე სათავეს, ე.წ. ჩანჩქერების სათავეს, ის მთლიანად ზედაპირული წყალმომარაგების ტიპისაა.

გამოსათხოვარი

## ნატო ციქურიშვილი

ლამაზი, აგურით ნაშენი კოპწია სახლი შემოდგომის ფერებში ჩაფლულა... ირგვლივ ყველაფერს მოუწყენია, სახლს მგლისფერი ღრუბელი ავისმომასწავებლად წამოადგა. მოხუცმა ათრთოლებული ხელებით სანთელი აანთო. ეზოში ნაყოფისგან განძარცული ხის ფოთლები შრიალებენ და ჩურჩულით ამბობენ: – აღარ არის, აღარ არის... ის ვინც გვივლიდა, გვეფერებოდა – აღარ არის...

ხაშმის ტყის სიომ ანაზდად შემოუბერა მთელ სოფელს და დამნაშავესავით ჩუმად, დარცხვენით აუწყა ყველას – ნატო, ნატო აღარ არის.

ქარი გაძლიერდა, ჯავრიანად დაჰბერა და თან წვიმის წვეთები მოიყოლა. წვიმის წვეთები ცრემლებად დაეშვნენ, ერთმანეთს შეუერთდნენ და ცრემლების ნაკადულმა მშვიდად, სევდიანად ჩამოუარა შენს სახეს. ცრემლების ნაკადულსვე უამრავი მოგონებები გამოუტანებიათ შენს მეგობრებს, ახლობლებსა და ნაცნობებს.

ქარმა ხაშმის სამების ტაძრიდან მგალობელთა დასის ხმა მოიტანა. მას გამწარებული მოხუცი დედის ლოცვა „უფალო შეგვიწყალენ!“ შეუერთა. სახლი გოდებით აივსო.

– ეს როგორ მოხდაო... როგორ დაშთა სიცოცხლე, რომელიც სავსე იყო ხალისით, ენერგიით და სიყვარულით, – ასე კითხულულობენ ეზოში შენი ნაფერები ვაზის რტოები.

– ლექსები უყვარდაო, – ჩურჩულებენ შენი ეზოს ყვავილები.

– მეგობრები უყვარდაო,– ამბობენ ფოთლები.

– დღედაღამ შრომობდაო,– გადაულაპარაკეს ერთმანეთს ნარგავებმა მეზობლისას...

– სიცოცხლე უყვარდაო და ალბათ კიდევ ვიღაც... რადგან უსიყვარულოდ ასეთი ლაღი, იმედიანი და ხალასი ვერ იქნებოდაო... იქნებ რაიმე ტკივილიც ჰქონდა გულში,მაგრამ არავინ იცოდა, რადგან ის არასდროს გვინახავსო სევდიანი ან ცრემლიანი,– ჩაიჩურჩულეს შენს ეზოში შემოდგომის სიცივისგან ტოტზე ოდნავ შეციებულმა ვარდის კოკრებმა.

... ზუსტად ასეთი იყავი, ნატო, ასეთი დარჩები ჩვენს მეხსიერებაში. შენგან გაცემულმა სითბომ და სიყვარულმა ყველას დაგვიტოვა მოვალეობა წმინდა სანთლის დანთებისა შენი სულის ნათელყოფის სალოცავად.

დაუსრულებლად ვისაუბრებთ შენზე, შენს ნიჭზე, ისევ შეგიქებთ ჩატარებულ გაკვეთილებს და ბოლოს მაინც გაოცებულები ვკითხავთ ერთმანეთს – როგორ მოერია ავადმყოფობა, ის ხომ ყველაფერს უმკლავდებოდა და აწესრიგებდა...

... სანთელი ცრემლებად იღვენთება, შენი საფიცარი ძმისშვილი ჩურჩულით გიკითხავს ფსალმუნს და უფალს ავედრებს შენი სულის სავალ გზას. უკანასკნელ გზაზე გაცილებს ცრემლდამშრალი მოხუცი დედა... ხის ტოტიდან კიდევ ერთი სიყვითლეშეპარული შენი ნაფერები ფოთოლი მოსწყდა, ჰაერში დატრიალდა, თითქოს უკანასკნელად გაიბრძოლა, ბოლოს ბუნების მკაცრ კანონს დაემორჩილა... მშვიდობითო, – თქვა და მიწაზე უდრტვინველად დაეშვა.

– უფალო შეგვიწყალენ!

*მეგობრები*

***საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლიდან***

# რუსეთი და საქართველო

## წარსული, დღევანდელობა და პერსპექტივები

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა ათასწლეულზე მეტს ითვლის, თუმცა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ უზარმაზარი ტერიტორიები შეიერთა და კავკასიის საზღვრებს მოადგა.

ჩვენთან თითქმის ყველამ იცის ერეკლე მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯების, გიორგიევსკის ტრაქტატისა და შემდგომ ჩვენი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ორსაუკუნოვანი ყოფნის შესახებ.

საბჭოთა კავშირის 70-წლიანი არსებობის დროს კომუნისტური პროპაგანდისტული მანქანა ცდილობდა ისე წარმოეჩინა ვითარება, თითქოს საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და ასე შეძლო თავის გადარჩენა.

ამ საკითხზე ქვემოთ ცოტა უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, რამდენადაც ამის საშუალებას საგაზეთო სტატიის ფორმატი მოგვცემს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობამოპოვებულმა საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა რუსული პოლიტიკის რეალობა.

დღეს ეს საკითხი კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური ისტორიულ შიდა ქართლში რუსული მავთულხლართების გავლებისა და მცოცავი ოკუპაციის გამო.

და ისევ დაისვა საკითხი – რა სჯობია ჩვენთვის – რუსეთთან ურთიერთობისას მეგობრობის კურსი ავირჩიოთ თუ ... სააკაშვილის აგრესიული პოლიტიკა გავაგრძელოთ.

სამწუხაროდ, ამ თემებზე ძირითადად მსჯელობენ დილეტანტები,. ან ის ადამიანები, ვინც სიღრმისეულად არ იცნობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და არ იცის რაში მდგომარეობს რუსული პოლიტიკის სპეციფიკა მეზობლების მიმართ.

რუსეთის იმპერიაში თანდათან ჩამოყალიბდა და პრაქტიკაში დაინერგა ტაქტიკა, რომლიც ამართლებდა საუკუნეების განმავლობაში და რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთ ევროპის საშუალოზე ოდნავ დიდი ქვეყანა (დღევანდელი საფრანგეთზე ან გერმანიაზე ცოტა დიდი) მსოფლიოში ყველაზე დიდ იმპერიად (XVI-XIXსს-ში) გადაიქცა.

რუსეთმა დიდი ძალისხმევის გარეშე შემოიერთა ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და ალიასკა, რადგანაც ეს ტერიტორიები თითქმის დაუსახლებელი იყო. სხვა სიტუაცია იყო უკრაინასთან, პოლონეთთან, ყირიმთან, შუა აზიასა და კავკასიასთან მიმართებაში. პატარ-პატარა სამეფო-სამთავროები ძირითადად ირანისა და თურქეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. ზოგი მედგრად ებრძოდა რუსეთის ექსპანსიას (ჩრდილოეთი კავკასია), მაგრამ ქრისტიანული ქვეყნები მასში მხსნელს ხედავდნენ და სწამდათ, რომ რუსეთი არა მარტო დამოუკიდებლობის მიღწევაში, არამედ ძველი დიდების აღდგენაშიც დაეხმარებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, ასე იქცეოდნენ ქართველი მეფე-მთავრები და რა მოჰყვა ამას, ყველამ კარგად იცის. სხვა საქმეა, რომ იმ დროისათვის ირანსა და თურქეთს შორის განაწილებულ და დაქუცმაცებულ საქართველოს სხვა არჩევანი არც ჰქონდა. ევროპას მაშინ არც ძალა შესწევდა და არც სურვილი ჩვენი გულისათვის არათუ რუსეთი, თურქეთი და ირანიც გადაემტერებინა.

ცნობილია რუსული იმპერიის სწრაფვა ტერიტორიული ზრდისაკენ. მას განსაკუთრებით აინტერესებდა და აინტერესებს კავკასია და განსაკუთრებით საქართველო. ამის მიზეზი რამდენიმეა. ყველაზე მთავარი ხელსაყრელი მდებარეობაა. ჩვენთან ყოველთვის გადიოდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზები აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. ამ გზის გაკონტროლება მნიშვნელოვანი იყო და დღესაც რჩება რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად. ხელსაყრელ მომენტში რუსეთს აქედან თავისუფლად შეეძლო გზის გაკაფვა ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისაკენ. არცთუ უმნიშვნელო კიდევ ერთი ფაქტორი იყო და არის – ზღვებზე გასასვლელი, უფრო სწორედ – სანაოსნოდ გამოსადეგი სტრატეგიული პორტების ნაკლებობა. მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიებისა, რუსეთს სულ რამდენიმე გაუყინავი ნავსადგური აქვს. ამ მიზნისათვის ბრძოლებში გაატარა რუსეთმა XVIII-XIX საუკუნეები და ბუნებრივია საქართველო მას თავისი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად აინტერესებდა.

თუ ამ კუთხით შევხედავთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ცხადი გახდება, თუ რატომ შეიერთა რუსეთმა საქართველო და არ დაეხმარა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

რუსეთი ყველა ღონეს ხმარობდა მასთან დასახმარებლად მისული საქართველოს დასასუსტებლად, რათა რაც შეიძლება იოლად და ნაკლები ძალისხმევით შეეერთებინა. ითრევდა მას ომებში თურქეთთან და ირანთან და მერე საძიძგნად უტოვებდა მათ. განრისხებულ სპარსელებსა და თურქებს გამოქცეული ქართველი მეფეებიც ისევ რუსეთში გარბოდნენ შველის სათხოვნელად... ამის კლასიკური მაგალითია გენერალ ტოტლებენის მოქმედება. მისი დაჟინებული მოთხოვნით ერეკლემ დაიწყო საომარი მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ, რომელთანაც მას მანამდე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ტოტლებენმა შუა ბრძოლაში მიატოვა ერეკლე და რომ არა ქართველების არნახული სიმამაცე, უკვე მაშინ ელოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინელი განადგურება.

დღევანდელი პოლიტიკაც რუსეთისა მცირეოდენი სახესხვაობით იდენტურია ძველი იმპერიული პოლიტიკისა და ჯერჯერობით ამართლებს, რადგან სიტუაცია ერთგვარად ჰგავს ორი-სამი საუკუნის წინანდელს.

თუ იმ დროს საქართველო დანაწევრებული იყო სამთავროებად და ერთიანი სახელმწიფოს განცდა არ არსებობდა, სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ისევ ერთიან ქვეყანაში მოიაზრებდა და რუსეთს სამშობლოდ თვლიდა, უფრო მეტად ეს ეხებათ არაქართველი ეროვნების ჩვენს მოქალაქეებს, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებში მცხოვრებთ. რუსეთის სპეცსამსახურებისათვის განსაკუთრებულ სირთულეს სულაც არ წარმოადგენდა აფხაზებისა და ოსების პატრიოტულ გრძნობებზე თამაში, ხოლო პროვოკაციების მოწყობა ტექნიკის საქმე იყო და შემდეგ მოვლენები თავისთავად განვითარდებოდა. რაც განხორციელდა კიდეც.

დღეს ხშირად ისმის კითხვა, რატომ „გადაგვეკიდა“ რუსეთი მაინცდამაინც ჩვენ?

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სტრატეგიულად რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამით არა მარტო თვით საქართველოს ჩაიგდებს ხელში, არამედ გააკონტროლებს მთელ ამიერკავკასიას და შუა აზიის ქვეყნებსაც ევროპასთან დამაკავშირებელ ალტერნატიულ გზასაც გადაუკეტავს.

სხვა საკითხია, რომ ჩვენ თვითონ დავეხმარეთ რუსეთს მიზნის მიღწევაში.

ცნობილი ფაქტია – გამოკითხვების მიხედვით რუსეთის მოსახლეობის უმეტესობა საქართველოს მიიჩნევს №1 მტრად. ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამსახურებაცაა, მაგრამ ჩვენც რომ თავი არ დავზოგეთ ამ დაპირისპირების გასაღვივებლად, განა დასამალია?

გავიხსენოთ სსრკ-ს უკანასკნელი წლები. თუნდაც 9 აპრილი ავიღოთ. ხომ ყველამ იცოდა საქართველოში, რომ საბჭოთა იმპერია ასეთ გამოსვლას არ დაუშვებდა და მას სასტიკად დაარბევდა. ახლახან გამოვიდა ჯუმბერ პატიაშვილის წიგნი, სადაც ის მოვლენებია აღწერილი. იგი ამტკიცებს, რომ იმდროინდელი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა იცოდნენ, რომ მათ დაარბევდნენ და სურდათ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი მოჰყოლოდა ამას. მათი მიზანი სსრკ-ს დანგრევა იყო, რაც დღევანდელი რუსეთის ლიდერებისათვისაც კი ტრაგედიაა და რა იქნებოდა იმდროინდელი საბჭოთა იმპერიის ლიდერებისათვის, ადვილი წარმოსადგენია.

ასე, რომ, გარდა სტრატეგიული ინტერესებისა, სასტიკად განვარისხეთ რუსები და შესაბამისი განაჩენიც გამოგვიტანეს – ჩამოგვაჭრეს აფხაზეთი და სამაჩაბლო (თუმცა გამორიცხული არ არის მათ ეს ჩვენი ლოიალობის პირობებშიც გაეკეთებინათ). მაგრამ, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ეს ადვილი გასაკეთებელი იყო, ქვეყანა შესაბამისი ატრიბუტებით ჯერ არც კი არსებობდა, 2008 წლის ომი და შესაბამისი შედეგები – საზღვრის თბილისიდან ზარბაზნით მისაწვდომამდე გადმოტანა, მთლიანად სააკაშვილის სინდისზეა. ახლა შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ რუსების ვერაგობაზე, რომ ისინი დიდი ხანია ემზადებოდნენ ამისათვის, მაგრამ რომ არა „მიშას“ ავანტურა, დღეს ასეთი საშინელი მდგომარეობა არ გვექნებოდა. ძნელია ირწმუნო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი წამოეგო ასეთ მარტივ პროვოკაციას, დაიჯერა, თითქოს რუსეთს არ აინტერესებდა სამაჩაბლო და არ ჩაერეოდა კონფლიქტში. მით უფრო, რომ საქართველოს საზღვრების სიახლოვეს წლების განმავლობაში ძალის დემონსტრირებას ახდენდა. გონიერი ადამიანი მაშინვე იტყვის, რომ ამას ღალატის სუნი უდის. და თუ მაინც მოგატყუეს, რა გინდოდა შენ ქვეყნის პრეზიდენტად, ასე ადვილად მოსატყუებელ ადამიანს ხომ ორ ბატსაც არ ჩააბარებდა კაცი, (თუ პრეზიდენტი ხარ და არა პატარა მიშიკო) ის კი 27 ოქტომბრამდე იყო პრეზიდენტი?! არა და ცნობილი ფაქტია – დამარცხებული ქვეყნის მთავარსარდლები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ (შორს რომ არ წავიდეთ. ამისთვის ჰიტლერის მაგალითი გამოდგება).

რა შანსებია იმისა, რომ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?

დღევანდელი გადასახედიდან – თითქმის არავითარი. ვინც იცის რუსეთის პოლიტიკა, დამეთანხმება, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ის აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ოფიციალურადაც შეიერთებს, უფრო მეტიც, ხელსაყრელ შემთხვევაში დანარჩენ საქართველოსაც გადაყლაპავს და არა მარტო საქართველოს, აზერბაიჯანსა და თავის სტრატეგიულ მოკავშირე სომხეთსაც მიაყოლებს.

იმედია, ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა მას არ ექნება და რაც მთავარია, აღარ გვეყოლებიან ისეთი მმართველები – პრეზიდენტები თუ პრემიერ-მინისტრები, ასეთ მარტივ პროვოკაციას რომ წამოეგებიან.

ჩვენი შანსი ისაა, რასაც ხშირად იმეორებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ყოვლადწმიდა არ დაუშვებს მისი ქვეყნის დანაწევრებასო. ეს რომ ასეა, ამას საქართველოს მრავალათასწლოვანი ისტორიაც ადასტურებს – არაერთხელ, საუკუნეების განმავლობაშიც ვყოფილვართ დაპყრობილი, მაგრამ მერე ისევ გავერთიანებულვართ და გაძლიერებულვართ. აბსოლუტურად სწორია ბიძინა ივანიშვილის პოზიციაც, როცა ამბობს, რომ უნდა დაველოდოთ ჩვენთვის ხელსაყრელ მომენტსო. ისე, როგორც რუსეთი დაელოდება ხელსაყრელ მომენტს ჩვენი ტერიტორიების ოფიციალურად შესაერთებლად, ასევე ჩვენ უნდა დაველოდოთ ისეთ მომენტს, როცა ვითარება ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება და რუსეთიც აღარ იქნება ხელისშემშლელი – იქნებ ხელშემწყობიც გახდეს ჩვენი ტერიტორილი მთლიანობის აღდგენისა (თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთს მეტი შანსი აქვს, რადგან ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და შესაძლებლობებიც მეტი აქვს). მსოფლიო ისტორიამ ამის უამრავი მაგალითი იცის. დღეს სტრატეგიული მოკავშირეები არიან აშშ და იაპონია, ან თუნდაც გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყვნენ ჩაბმული მეორე მსოფლიო ომის დროს. ან ვინ იფიქრებდა გასული საუკუნის 80-იან წლებშიც კი, რომ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე გახდებოდა?!

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ შევძლოთ აფხაზებისა და ოსების ნდობის მოპოვება. ამჟამად ესეც წარმოუდგენელია, მაგრამ სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში არც ეს იქნება პრობლემა. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ არცთუ შორეულ მომავალში აფხაზები და ოსები გააცნობიერებენ, თუ რა საშინელი შეცდომა დაუშვეს, როცა ისტორიულ სამშობლოს – საქართველოს ზურგი აქციეს და „დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლა დაიწყეს რუსეთზე დაყრდნობით. მათი დამოუკიდებლობა ილუზია რომ არის, ალბათ უკვე ხვდებიან. თანაც მათი ეს ილუზიური „დამოუკიდებლობაც“, დარწმუნებული ვარ, დიდხანს არ გაგრძელდება, რადგანაც რუსეთი ამ ტერიტორიებს საკუთარი ქვეყნის შემადგენლობაში განიხილავს და თუ ახლა მათ როგორც დამოუკიდებელს „აღიარებს“, რაიმე საბაბით აუცილებლად თავის შემადგენლობაში მოაქცევს. ასეთ დროს ამ ხალხებს აუცილებლად გაუჩნდებათ უკვე რუსეთისაგან თავის დაღწევის და საქართველოსთან დაბრუნების სურვილი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს დღე მალე დადგება.

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი მიიჩნევს, რომ ჩვენი გადარჩენა, ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ნატოში შესვლითაა შესაძლებელი. ნატოში შესვლა მართლაც დიდებული რამ იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიფიქრებთ, ჩვენ ნატოში შესვლის შანსი თითქმის არ გვაქვს. მართალია აშშ მომხრეა საქართველოს ნატოში შესვლისა და მას სერიოზული გავლენა აქვს ამ ორგანიზაციაში, მაგრამ ევროპაში ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე ქვეყანა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დაბლოკავს სხვადასხვა საბაბით. მთავარი მიზეზი კი ის იქნება, რომ რუსეთთან კონფლიქტში ჩაბმა საქართველოს გულისათვის მათ ინტერესებში სულაც არ შედის, მით უფრო, რომ რუსეთთან მთელ რიგ საკითხებში სტრატეგიული პარტნიორებიც არიან. საქართველოს ნატოში მიღება კი შესაძლოა რუსეთთან ომის საბაბი გახდეს. ვინ მისცემს მათ გარანტიას, რომ აღარ განმეორდება 2008 წლის შეცდომები? ნატოს წევრი რომ ვყოფილიყავით მაშინ, ნატო იძულებული გახდებოდა დაეწყო ომი რუსეთთან და დიდი ალბათობით ბირთვული იარაღის მსხვერპლი გამხდარიყო. სხვა საქმეა, რომ შესაძლოა რუსეთსაც აღარ გამოედო თავი ნატოს წევრი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისაგან.

საკმაოდ დამაიმედებელია ის გარემოება, რომ რუსეთმა ვერ შეძლო ორიოდე კუნძულზე გადაკარგული ქვეყნის გარდა მიეღწია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. დღევანდელი მსოფლიოც არ გამოდგა ისეთი შემგუებელი რუსული აგრესიისადმი, როგორც ძველად. მიშნელოვანი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის ძალისხმევა და ამერიკის გამაფრთხილებელი განცხადებები.

მაგრამ, მთავარი ისაა, აღარ დავუშვათ შეცდომები, გავიაროთ ბეწვის ხიდზე, რუსეთთანაც დავათბოთ ურთიერთობა, აფხაზებთანაც და ოსებთანაც, გავაძლიეროთ ქვეყანა და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ გამთლიანებისაკენ.

*ზურაბ აგულაშვილი*

---

## გაძლების გმირები

## ყოველდღიურ საფიქრალსა და საკეთებელში



კაფანდარა, სუსტმა, ისასავით ნაზმა გოგონამ მთიელი ბიჭი გაიცნო – თაზო. შ ე უ ყ ვ ა რ დ ა თ ერთმანეთი... პატარა, მყუდრო ბუდე კოჭბანში მოიწყეს... დაიბადა სიყვარულის ნაყოფი – მიშიკო და თაზომ უფრო მეტი სიბეჯითით განაგრძო თავისი საქმიანობა, შრომობდა, ჩიტის რძეს არ აკლებდა პატარა ცოლ-შვილს, ცალუღლად დარჩენილ დედას. შვიდი წლის შემდეგ მიშიკოს ლევანი მოჰყვა. ორი თვის ხდებოდა ლევანი... მძიმე ავტოკატასტროფისას მიშიკომ თავისი თვალით უყურა მამის უკანასკნელ წუთებს, მოისმინა უკანასკნელი ამოსუნთქვა. დედის ძმაც უმძიმესი იყო... მეორე დღეს ხათუნას დაბადების დღე იყო...

ცა ჩამოიქცა, მიწა შეტორტმანდა ამ პატარა გოგონას ფეხქვეშ. რომელი ერთი ედარდა, ვისთვის მიეხედა, უკანასკნელ გზაზე იყო გასაცილებელი ერთადერთი სიყვარული, ძმა სიკვდილს ებრძოდა სარეცელზე, ორი თვის ლევანი ძუძუს ითხოვდა, მიშიკო შოკიდან ვეღარ გამოდიოდა, შვილმკვდარი დედა გაქვავებულიყო...

რის ფასად დაუჯდა ხათუნას ამ უმწეო ადამიანების მიხედვა, მიცვალებულისთვის წესის აგება, ცოცხალ-მკვდარი, საყვარელი ადამიანების, თოთო პირმშოზე ზრუნვა, ეს მხოლოდ უფალმა და ხათუნამ იცის. ვუყურებ და მიკვირს, როგორ შეძლო ამ პატარა ქალმა შეუძლებლის გაკეთება, პატარა შვილების, ავადმყოფი დედამთილის მოვლა-პატრონობა...

თაზოს, როგორც ყველა მთიელს, საქონელი ჰყავდა. ოჯახს სახსარი არ ჰქონდა მწყემსის დაქირავების. ხათუნა და მისი პატარა შვილები იყვნენ საქონლის მწყემსებიც და მომვლელებიც. წაიყვანდა პატარას, წაიღებდა საქსოვს და თავის დარდებს ფურუსულას და იებს, ღიღილოებს, ყაყაჩოებს ანდობდა, თაზოს მონატრების ცრემლებს აპკურებდა თაზოს ნაფეხურებს. ხან წიგნებს კითხულობდა... ნელ-ნელა მოდიოდა გონს, ერთი და იგივე ფიქრები ფუტკრებივით ეხვეოდა, ყურებთან ზუზუნით მიჰქონდა ფიქრი წარსულზე, მომავლის იმედი კი ჰორიზონტზე ჯერჯერობით არსად ჩანდა...

სოფელმა მოსვლის დღიდანვე შეიყვარა ხათუნა, მძლურების გაზრდილმა ყველა მოხიბლა თავისი სიკეთით, სიმშვენიერით. სოფელმა მწარედ დაიტირა თავისი შვილი თაზო ტიტველაშვილი... 2000 წელს თავადაც დაბნეული, გაჭირვებული იყო სოფელი, ელდისა და დარდის მეტს არაფერს ელოდა... მარტო უმკლავდებოდა დარდსაც და გაჭირვებასაც ხათუნა. ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა სოფელში, ვინც პატარა გოგონას დარდი იდარდა, გაითავისა და მძიმე სენს შეჭიდებულმა ათასგზის შეუთვალა რაიონის ხელმძღვანელობასაც და ხათუნასაც, მალე დაეკავებინა მისი – სასოფლო კლუბის გამგის ადგილი – თავად მშვიდად წავიდოდა ამ სოფლიდან, გულდაარხეინებული – უმწეო ობლების დედას მწირი, მაგრამ ხელფასი მაინც ექნებოდა...

2004 წლიდან ხათუნა კოჭბანის საკლუბო მუშაობის სპეციალისტია. მართალია, კლუბის შენობა მოძველებულია, ინგრევა, მაგრამ ხათუნა მაინც ახერხებს საჯარო სკოლის შენობაში მეცადინეობების ჩატარებას, ღონისძიებების მომზადებას. ხათუნას საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია აქვს დამთავრებული. კოჭბანის თემის სოფლების ბავშვებს ის ქართულ ცეკვებს ასწავლის, მათთან ერთად ამზადებს ღონისძიებებს, ეფერება აქაურ ხალხს, ღვაწლმოსილ პედაგოგებს, კაფიებისა და ლექსების შემოქმედთ, წარმოაჩენს ნიჭიერი მოსწავლეებისა და ახალგაზრდობის შესაძლებლობებს. ძალიან უყვარს სახალხო მთქმელი გრიშა აფციაური, მტკივნეულად განიცდის კაფიების დიდოსტატის ხვთისო წიკლაურის ამქვეყნად არყოფნას...

მიშიკო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტია, ლევანი ჯერ 13 წლისაა, მოსწავლე, სახლში 79 წლის დედამთილი, სამსახურში თავისი საყვარელი საქმე ელოდება, ხვალინდელი დღე – ისევ საფიქრალსა და საკეთებელს მოითხოვს, საქმეს აკეთებს, საფლავზე მიდის, გულში თაზოს ესაუბრება, წირვა-ლოცვას ესწრება, გულისყურით უსმენს მამა ლაზარესა და მამა ვახტანგის ქადაგებას და სწამს, სჯერა, რომ თაზო მის გვერდითაა ყოველთვის, თავისი ლოცვით იცავს თავის პატარა ცოლ-შვილს, მასზე ფიქრსა და ყოველდღიურ საზრუნავში გადის გაძლების ჩვენი გმირისათვის დღე და ღამე, თვე, წელი... გმირები მხოლოდ ბრძოლის ველზე არ არიან, ყოველდღიურ ბრძოლებში სუსტი, კაფანდარა ქალებიც იმარჯვებენ.

ერთ-ერთი მათგანი კოჭბანში ცხოვრობს...

მეცამეტე 6 ნოემბერი მოდის – თაზოს გარეშე, 39-ე 7 ნოემბერი – ხათუნას დაბადებიდან!

დაბადების დღეს გილოცავთ, ხათუნა!



ფრენბურთის მოედანი

# საამაყოც ბევრია და საკეთებელიც
# როცა გვერდში გულშემატკივარი გყავს

**ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენების ბოლო დროის წარმატებები ბევრ ქვეყანას შეშურდება.**

**საგარეჯოელი სპორტსმენების ამ წარმატებების შესახებ საუბარი აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" დირექტორს <u>გიორგი (გია) მაისურაძეს</u> ვთხოვეთ:**

– როგორც იცით, გაერთიანებაში ფუნქციონირებს სპორტის შემდეგი სახეობები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, სამბო, კრივი, კარატე, ფეხბურთი, რაგბი, ჭადრაკი. ოდითგანვე გარეკახეთი ჭიდაობის ერთ-ერთ ძლიერ, მძლავრ კერად არის მონიშნული „სპორტულ-გეოგრაფიულ" რუკაზე და რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება ამ სახეობის განვითარება-პოპულარიზაციისკენ უნდა იყოს მიმართული. მაგრამ, არც სპორტის სხვა სახეობებია უყურადღებოდ. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დღემდე 12 მედალი (ევროპისა და მსოფლიო პირველობებია მხედველობაში) აქვთ მოპოვებული ჩვენს მოჭიდავეებს. საუბარი აღარ მაქვს საქართველოს ჩემპიონატებში მოპოვებულ იმ წარმატებებზე, რაც მოჭიდავეებმა თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, სამბოში მოიპოვეს.

ეს მიღწევები, მართალია, მათი მონდომების შედეგია, მაგრამ, აქვე დავძენ, რომ თუ არა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, მაჟორიტარი დეპუტატის, ქველმოქმედთა დახმარება, ამდენ წარმატებებს ადვილად ვერ მივაღწევდით.

***– რა დახმარებაზეა საუბარი, რა გაქვთ მხედველობაში?***

– მათი უშუალო დახმარებით ჩვენს სპორტულ დარბაზში მოეწყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეკრებები უკვე სამჯერ. აქ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის უშუალო დახმარებით მოეწყო კვების ბლოკი, მოწესრიგდა საძინებელი ოთახები, საშხაპეები. ქველმოქმედებმა კი ხელი შეგვიწყეს კვების პროდუქტებით. პირველი შეკრება აპრილში გვქონდა, სადაც 20 სპორტსმენი მონაწილეობდა. მეორე შეკრება ივნისში, შემდეგ იყო ივლისში – ქობულეთში. აი ეს შედეგებიც:

– **სოლომონ თედიაშვილმა** სამბოში, ევროპის ჩემპიონატზე, კვიპროსში, მესამე ადგილი დაიკავა.

– **კობა მჭედლიშვილმა** ძიუ-დოში მსოფლიოს პირველობაზე ამერიკის ქალაქ მაიამიში I ადგილი, ევროპის პირველობაზე ესტონეთში, III ადგილი დაიკავა.

– **თამაზ კირაკოზაშვილმა** ევროპის პირველობაზე, ესტონეთში, III ადგილი დაიკავა; ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე, ჰოლანდიაში – მეორე ადგილი;

– **სიმონ მამარდაშვილმა** ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე, ჰოლანდიაში, III ადგილი დაიკავა;

– **ირაკლი კუპატაძემ** მსოფლიო პირველობაზე სამბოში, ჭაბუკებში საბერძნეთში II ადგილი დაიკავა;

– **უშანგი კუზანაშვილმა** ევროპის პირველობაზე სამბოში, III ადგილი დაიკავა, ირლანდიაში მსოფლიო ჩემპიონატზე – II ადგილი დაიკავა.

– **ნოდარ მჭედლიშვილმა** შინაგან საქმეთა სამინისტროს მსოფლიო პირველობაზე I ადგილი დაიკავა;

– **ბექა ტერტერაშვილმა** ევროპის პირველობაზე, რიგაში, სამბოში II ადგილი დაიკავა.

როგორც შედეგებიდან ვხედავთ, ბევრ ქვეყანას შეეხარბება ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა სპორტული წარმატებები.

ჩვენ მართლაც რომ პერსპექტიული მოჭიდავეები გვყავს. რომ ჩამოვთვალო, ალბათ რამდენიმე ათეული იქნება, რაც საამაყოა და ჩვენთვის, ჩვენი მწვრთნელებისათვის საპასუხისმგებლოც: ზაურ და სიმონ მამარდაშვილები, ვანო მამისაშვილი, მიხო და ლევან ბოჭორიძეები, გიგა შიოშვილი, ლევან ხაბარელი, ნიკა ბასილაშვილი, დათო კურდღელაშვილი, გიორგი პასიკაშვილი, ბექა როჭიკაშვილი, გუგა მღებრიშვილი, ამირან დარბაისელი, ჭაბუკა კირაკოზაშვილი, ელდარ ჯიქიძე, ლაშა მათიაშვილი, ზაზა როსტომაშვილი, ზაქრო წიკლაური, ნიკა ყუშიტაშვილი, ირაკლი და გიორგი კუპატაძეები, ოთარ კაციაშვილი, მინდია ბაბაკიშვილი და სხვები. მათგან დიდ წარმატებებს ველოდებით არა მარტო ჩვენ, საგარეჯოელები, არამედ ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრებიც. ვნახოთ...

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ყველა დამეთანხმება, რომ ნოემბერში ჩვენი თანამემამულე, სამბისტი უშანგი კუზანაშვილი არ გაგვაწბილებს და სანკტ-პეტერბურგში გამართულ მსოფლიო პირველობიდან მედლით მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდება. ასეთივე დიდი წარმატებების იმედი მაქვს საქართველოს ჩემპიონისგან ჭადრაკში, ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკის ნანი უნაფქოშვილისგანაც. ის დეკემბერში დუბაიში მიემგზავრება ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობაზე.

საინტერესო საქმიანობას ეწევა კრივის სექცია (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე). სექციაში 30 მომავალი მოკრივეა გაერთიანებული. თავდაპირველად, თქვენც გეხსომებათ, მწვრთნელი ზურაბ იმნაძე თავის სახლში ამეცადინებდა პატარა მოკრივეებს, მაგრამ შემდეგ გადაინაცვლა ერთ ძველ შენობაში. მარტიდან ჩვენ მათ ჭიდაობის დარბაზი დავუთმეთ (მოჭიდავეები სხვა დარბაზში გადავიყვანეთ), მოვაწყეთ რინგი, მოსწავლეებს მიეცათ საშუალება იმეცადინონ და ივარჯიშონ ნორმალურ პირობებში. შედეგები კი, მართლაც რომ საინტერესო აქვთ – პირველ ადგილს არავის უთმობენ ტატო შიოშვილი, უჩა გრძელაშვილი, გიორგი ივანიაშვილი, გურამ კურტანიძე, ვალერი ალოიანი, ილია ქაჯაია, ხაზრი სადიკოვი, სოსო მღებრიშვილი, თორნიკე გორგილაძე. მათ სექტემბრიდან სხვებიც შეუერთდნენ. ყოველ შაბათს თბილისში იმართება შეჯიბრებები და ჩვენდა სასიხარულოდ, სულ პირველი ადგილები „მოაქვთ". აი, ახლაც 12 პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისში გამართულ შეჯიბრზე.

წარმატებები აქვთ ჩვენს კარატისტებსაც (მწვრთნელი ვანო გიგილოშვილი).

გამარჯვებულები საქართველოს ღია ჩემპიონატზე კარატე-დო გო-ჯუ-რიუში: ბერდია უნაფქოშვილი, შმაგი ხუროშვილი, თორნიკე ათაბეგაშვილი, ერეკლე გაიმარჯვაშვილი, ანტონიო ყულოშვილი.

საფეხბურთო კლუბ „გარეჯის" ფეხბურთელებმა (მწვრთნელები გოგა და დათო მაისურაძეები, რეზო ხებრელაშვილი) ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ტურნირზე მერვე ადგილი დაიკავეს 12 გუნდში. 2000 წელს დაბადებულთა შორის ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირზე მერვე ადგილი დაიკავეს 16 გუნდს შორის.

რაგბში (მწვრთნელი ზვიად სუხიაშვილი) I ლიგის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პრიზის გათამაშებაში, აღმოსავლეთ დივიზიონში დაიკავა II ადგილი, ფლეი-ოფში დაიკავა III ადგილი, საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში კი – III ადგილი.

ჩვენთან ჭადრაკიც (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) სპორტის ისეთივე პოპულარული სახეობაა, როგორც ჭიდაობა. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ: ნანი უნაფქოშვილი, ლალი გარსიაშვილი, ეთერ ხებრელაშვილი, ლევან დალბაშვილი, ნიკოლოზ კევლიშვილი, ლუკა გურჯიძე, ეკა ჭყონია, გიგი ივანელაშვილი და სხვა. ისინი არიან საკმაოდ წარმატებული ნორჩი მოაზროვნეები.

ჩვენ გვყავს თავისუფალი ჭიდაობის ჩემპიონები და პრიზიორი გოგონებიც: ნუნუკა ლონდარიძე, ხატია კევლიშვილი, ხატია მინდიაშვილი, რომლებიც სერიოზულად ემზადებიან ახალი წარმატებებისათვის.

16 ოქტომბერს ჩვენმა გაერთიანებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად დავიწყეთ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის რაიონული პირველობა ფრენბურთში. ეს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის, სპორტის კიდევ ერთი სახეობის ასაღორძინებლად გადადგმული პირველი ნაბიჯებია. ჩვენმა გაერთიანებამ ფეხბურთის სტადიონზე, იქ, სადაც ადრე, ათეული წლების წინ, ფრენბურთის მოედანი ფუნქციონირებდა, კვლავ გავასუფთავეთ და მოვაწესრიგეთ. აქ პირველ დღეს შეხვდნენ ერთმანეთს საგარეჯოს №1, მზისგულის, გიორგიწმინდის, ყანდაურის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

სწორედ სპორტის სხვადასხვა სახეობის ასაღორძინებლად დაგვეხმარა საქართველოს პარლამენტის წევრი, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი თინათინ ხიდაშელი და მისი უშუალო დახმარებით ამერიკის საელჩომ ჩვენ ოქტომბერში 14 ათასი დოლარი ჩაგვირიცხა.



გია მაისურაძე

***– სასიხარულოა...***

– მართლაც. ამ თანხას ჩვენ მოვახმართ საგარეჯოში კალათბურთის აღორძინების საქმეს (ვიქირავებთ ერთ-ერთი სკოლის სპორტულ დარბაზს), დიდი სურვილი გვაქვს ჩვენც და თავად აზერბაიჯანული სექტორის სოფლებს, იორმუღანლოში გაიხსნას ძიუ-დოს და ფეხბურთის სექციები.

მინდა ვისარგებლო და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ქალბატონ თინათინ ხიდაშელს სპორტისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის, ასევე, მადლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელობას, მადლობა ჩვენი სპორტსმენებისათვის ხელისშეწყობისა და ფინანსური დახმარებისათვის საგარეჯოელებს: გია მარხვაშვილს, მერაბ ჭიაურელს, ზაქრო დარისპანაშვილს, პაატა სიბოშვილს, ზაზა და ავთო გულიკაშვილებს, თამაზ გეგეშიძეს და ყველას. ჩვენი გაერთიანების თანამშრომლებს, დიდი მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპორტული გაერთიანების უფროს სპეციალისტს გია ხოსიტაშვილს, რომელიც აქტიურად გვიდგას მხარში. გარეჯელ სპორტსმენებს კვლავაც გვაქვს მათი თანადგომისა და დახმარების იმედი. მოგეხსენებათ 2015 წელს ჭაბუკთა ევროპის ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში იმართება და დიდი სურვილი გვაქვს ამ ოლიმპიურ ფესტივალისათვის 1998-1999 წლებში დაბადებული ჩვენი 3-4 სპორტსმენი აქედანვე მოვამზადოთ. ამის იმედს კი გვაძლევენ ლაშაც, გუგაც, ამირანიც, ნიკაც, ლევანიც, ელდარიც... მადლობა ყველას, ვინც ჩვენი, გარეჯელი სპორტსმენების აღზრდაში, მათ გამარჯვებებში იღებს მონაწილეობას და მადლობა მწვრთნელებს, განსაკუთრებით უფროს მწვრთნელს მამუკა მათიაშვილს, მის გვერდით მდგომ ყველა მწვრთნელს და გულშემატკივარს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ არ გავუცრუებთ იმედებს მათ, ვისთვისაც ჭიდაობა და საერთოდ, ქართული სპორტი ქართულ საქმესთან და ქართველობასთან არის გათანაბრებული და ვინც თავის ფინანსურ შესაძლებლობებს სპორტის განვითარებისათვის არ იშურებს.

***– წარმატებებს გისურვებთ!***

---

### სამბო

# საბერძნეთში — მეორე ადგილი

## სამბისტების, ძიუდოისტების, თავისუფალი მოჭიდავეების „დინასტია"



ოქტომბრის დასაწყისში საბერძნეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე სამბოში ჩვენი ძიუდოისტი ირაკლი კუპატაძეც იღებდა მონაწილეობას. ირაკლი უკვე 7 წელია წვრთნებს საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტულ დარბაზში მწვრთნელ მამუკა მათიაშვილთან გადის. ირაკლი მანაველია, მანავის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი. გამოსაშვებ გამოცდებს „ასცდა", მსოფლიო პირველობის გრაფიკმა შეცვალა მისი სასკოლო რეჟიმი. დიდი რწმენით, ენთუზიაზმით გაემგზავრა იქ მონაწილეობის მისაღებად. საუბარში გაირკვა, რომ ირაკლი კარგად იცნობს რუს სამბისტებს, ძიუდოისტებს.

– ყველაზე მაგრები, კარგად მომზადებულები რუსები არიან სამბოში. მათ ყაზახები, მონღოლები, საერთოდ აზიის ქვეყნების სამბისტები მოჰყვებიან სიძლიერით. არც ჩვენ, ქართველები ვართ ვინმეზე ნაკლები, – მეუბნება ირაკლი, – შევხვედრივარ უკრაინელს, აზერბაიჯანელს, სომეხს, ბულგარელს, რუსს, ფრანგს, მონღოლს, ტაჯიკს, ბელორუსს, თურქს, ბერძენს. ახლა საბერძნეთში მონღოლს შევხვდი. ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ მონღოლის „აქტივობით" მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება მას მიაკუთვნა, მეორე ადგილზე კი მე გავედი. ამ ასპარეზობიდან საქართველომ 18 მედალი წამოიღო, მაშინ, როცა 30-მდე ქვეყანა მონაწილეობდა. ამიტომაცაა, რომ ჩვენ, ქართველებს ყველა ძლიერ მეტოქეებად მიგვიჩნევენ და ყველა ძალას ხმარობენ, რომ როგორმე გაუძვრნენ ქართველებთან შეხვედრას. ყველაზე ძნელი მაშინაა შეხვედრა, როცა ქართველები ერთმანეთს ვხვდებით, მაგრამ ხომ სასიხარულოა და საამაყო, რომ I ან II ქართველები ვართ...

ირაკლის მამა – პაატა კუპატაძე თავისუფალს ჭიდაობდა. საქართველოს პირველობაზე აქვს აღებული I ადგილი. მამიდა რუსუდანი ძიუდოისტი იყო, ახლა რუსუდანი რაგბისტთა გუნდ „შვიდკაცას" ექიმია და პარალელურად რეაბილიტაციის ცენტრში მუშაობს. რუსუდანმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გააგრძელა და სწორედ სტუდენტობის დროს აღმოაჩინეს მასში ის ძალა და ენერგია, ბრძოლის ტაქტიკა, რამაც მას შემდგომში ძიუდოისტის სახელი მოუპოვა. მისი წარმატებები კარგად ახსოვს საგარეჯოელებს სსრკ პირველობებზე. მართლაც რომ დასამახსოვრებელი იყო მისი გამოსვლები.

ირაკლის უფროსი ძმა გიორგი – ძიუდოისტია, ისიც საგარეჯოს სპორტგაერთიანების სპორტსმენია და საკმაოდ კარგი შედეგები აქვს სხვადასხვა ასპარეზობებზე. ირაკლიმ საქართველოს პირველობაზე ჭაბუკებში I ადგილი დაიკავა, საერთაშორისო ტურნირზეც I ადგილი მოიპოვა, მსოფლიო თასზე სამბოში III ადგილი, უკრაინაში ჭაბუკებში ევროპის თასზე III ადგილი დაიკავა. თურქეთში, ანტალიაში III ადგილი დაიკავა. ერთი თვის წინ სომხეთში ერევანში გამართულ ტურნირში I ადგილი. აქ ორ სომეხ სპორტსმენს და 1 ქართველს შეხვდა. წელს ფეხზე სერიოზული ტრავმა მიიღო, თორემ უფრო მეტი შესაძლებლობები ექნებოდა ტურნირებში მონაწილეობის და გამარჯვებების. საყვარელი სპორტსმენი ვკითხეთ და ნესტორ ხერგიანიო, – მითხრა. ულამაზესად იცოდა ნესტორმა ილეთი „ხელით ფეხზე შესვლა", რომელიც თავად ირაკლისაც მოსწონს, მაგრამ ახლა აიკრძალა ამ ილეთის გამოყენებაო.

---

# სპორტული ამბები
# ტრადიციად იქცა

კაკაბეთში უშანგი კუზანაშვილის სახელობის ღია საჭიდაო მოედანზე 19 ოქტომბერს გაიმართა შეჯიბრი თავისუფალ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდნენ საგარეჯოელი, ყვარლელი, გლდანელი მოჭიდავეები. გათამაშდა საგარეჯოელი მოჭიდავეების: გიორგი გზირიშვილის, შალვა გზირიშვილის, არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილის სახელობის პრიზები. მათგან არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა საგარეჯოელ გიგა შიოშვილს (76 კგ წონითი კატეგორია). სხვადასხვა წონით კატეგორიებში II ადგილები დაიკავეს საგარეჯოელმა ნიკა მესროფოვმა, გიორგი ბურჯანაძემ, გიგი ქურხულმა, დავით კუჭუაშვილმა, გიგლა შათირიშვილმა, აკაკი რომაშვილმა, ბაჩო ქვლივიძემ, ვასიკო დიღმელაშვილმა, ლაშა ჩახმახაშვილმა, თორნიკე ასაბაშვილმა (მწვრთნელები: რამაზ ასაბაშვილი და დათო ბაბუნაძე). შეჯიბრის მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ როსტომაშვიოლი.

ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება. ყოველ შაბათ დღეს აქ გაიმართება შეჯიბრი ჭიდაობაში.





სახალხო დღესასწაულზე

# უდაბნოელებმა უმასპინძლეს

Სოფელ უდაბნოს მცხოვრებთ კარგად ახსოვთ გასული საუკუნის 80-იან წლებში საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობის მზრუნველობა სოფლის კეთილმოწყობისა და ყურადღება ახალი მოსახლეობის მიმართ. უკანასკნელ 2 ათეულ წელზე მეტია სოფელს გაუჭირდა საკუთარი ძალებით უწყლოობის, თავს მოჯარული პრობლემების გამკლავება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დგანან მტკიცედ და თავიანთი ძალებით ცდილობენ პრობლემების მოგვარებას. რამდენადაც სოფელი დიდი მანძილითაა მოცილებული რაიონულ ცენტრს, ამდენად მოსაგვარებელი საკითხებიც შესაბამისად ბევრია. აქაურები ყველაზე მეტად რაიონის ხელმძღვანელობიდან შეხმიანებას ელოდნენ, თორემ რისი მოგვარებაც საკუთარი ძალებით შეუძლიათ, არავის აწუხებენ.

19 ოქტომბერს სოფელ უდაბნოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ინიციატივით სახალხო დღესასწაული „აქ მთელი საქართველოა“ გაიმართა. ეს ღონისძიება ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში იმართება, სადაც წარმოდგენილი არიან საქართველოს ყველა კუთხე, ყველა რაიონი ფოლკლორითა და ამ კუთხისათვის დამახასიათებელი კულინარული შესაძლებლობებით. ამ დღეს უდაბნოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ ფოლკლორულ ანსამბლებს მასპინძლობდნენ, რომლებიც ამ დღესასწაულს ულოცავდნენ უდაბნოელებს.

ღონისძიება დოღის მონაწილეებმა გახსნეს, რომელშიც 9 უდაბნოელი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. მათ სტარტი ე.წ. „კუკურას ძეგლებიდან“ აიღეს და წინ 4 კმ ჰქონდათ ძალების გამოსაცდელად. ფინიშთან I ვანო ჭელიძე მოვიდა, მეორე ვანო მარგიანი იყო. მათ შესაბამისი ჯილდოები გადაეცათ. სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს საგარეჯოს ვაჟთა სახალხო ანსამბლი „გარეჯი“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კაკაბელები“ (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი), უდაბნოს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „კასლეთილა“ (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი), ანსამბლ „პატარა გარეჯელების“ მომღერლები (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი), „უდაბნოს შვილების“ (ხელმძღვანელი თამუნა მარგიანი) მოცეკვავეები, საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელები: თინათინ მეზვრიშვილი, ფიქრია ჩეკურიშვილი, გია კუჭუაშვილი) ენაცვლებოდნენ. მოწონება დაიმსახურა ანსამბლ „იმედის“ სოლისტების მარი აზარიაშვილისა და გიორგი ასთავიშვილის მიერ შესრულებულმა ცეკვამ. სიმღერებითა და ცეკვებით მოხიბლეს უდაბნოელები ჩოხატაურის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ნართის“ წევრებმა. უდაბნოელებს დღესასწაული უმშვენიერესი სიმღერით მიულოცეს ჯგუფ „ძმების“ წევრებმა ბექა და გურამ ღვინაშვილებმა, დათო და გიგა ლოლაშვილებმა.

უდაბნოელებსა და მოწვეულ სტუმრებს ეს ლამაზი დღე უდაბნოელმა და საგარეჯოელმა პატარა მოჭიდავეებმაც მიულოცეს, რომლებმაც თავიანთი ხელოვნება აჩვენეს. ისინი შესაბამისი პრიზებითა და ჯილდოებით დაჯილდოვდნენ. მძიმე წონაში კი საგარეჯოს სპორტგაერთიანების მიერ დაწესებული ჯილდო – ჭედილა უდაბნოელ გიორგი ავალიანს ხვდა წილად. ღონისძიებაზე საგარეჯოელი და უდაბნოელი ახალგაზრდები ერთმანეთს მკლავჭიდშიც სცდიდნენ.



უხუცესი „კასლეთილას„ წევრებთან



დოღში გამარჯვებული ვანო ჭელიძე



ჭიდაობა

უდაბნოელებს ეს ლამაზი დღე მიულოცეს ღონისძიების ორგანიზატორებმა საგარეჯოს კულტსახლის მენეჯერმა თინათინ მეზვრიშვილმა, უდაბნოს საკლუბო მუშაობის სპეციალისტმა ფიქრია მარგიანმა, კულტურის გაერთიანების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა, უდაბნოელებმა ვაჟა გულბანმა და ოფელია მარტიაშვილმა

პირველად გამოვიდნენ თავიანთი საბრძოლო ხელოვნების საჩვენებლად საგარეჯოს „შავფაროსნების“ კლუბ „შენი სპას“ (ხელმძღვანელი ლევან ოქროპირიძე) წევრები. მათ მაყურებელთა მოწონება და დიდი ინტერესი დაიმსახურეს.

სოფელი თავიანთი კულინარული ნაწარმით სახალხო დღესასწაულის მონაწილეთ გულღიად მასპინძლობდა. კაკაბელებმა უდაბნოელებს თათარითა და ახალადამოვლებული ჩურჩხელებით უმასპინძლეს.



პატარა მოცეკვავე გულიკო მარტიაშვილი

სახალხო დღესასწაულს უხუცესი და ყველაზე პატარა უდაბნოელები ესწრებოდნენ. ეს იყო სიყვარულის, სიხარულის დიდი დღესასწაული. ერთმანეთს ულოცავდნენ ამ დღის სილამაზეს უდაბნოელები, საგარეჯოელები, სხვადასხვა სოფლებიდან მოწვეული სტუმრები. აქ იყვნენ ძირძველი უდაბნოელები 40-იანი წლებიდან – ოფელია მარტიაშვილი თავისი შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით, 80-იანი წლებიდან ეკომიგრანტი სვანეთიდან, სოფლის უხუცესი აიშათ ჟორჟოლიანი და მისი პატარა შვილთაშვილი ნატალი მარგიანი, სკოლის, საბავშვო ბაღის პედაგოგები, უდაბნოელები. გასაუბრებისას ყველამ აღნიშნა, რომ უდაბნოელებს ასეთი ლამაზი დღე თითქმის 25 წელიწადია აღარ ჰქონიათ მას შემდგომ, რაც ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი აღარ იყო რაიონის ხელმძღვანელი, ამიტომ ყველა მადლობას უხდიდა ასეთი დღესასწაულისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი*** **ცისმარ თედიაშვილი**, ***გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი*** **გიორგი ქურდოვანიძე**, ***საგარეჯოს კულტურის გაერთიანების ობიექტების დირექტორი*** **ბესო ღვინაშვილი**, ***საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს რეგიონალური სამმართველოს უფროსი*** **ლალი თარიმანიშვილი**, ამავე ***სამმართველოს მთავარი სპეციალისტი*** **ნანა ხურითი**.

---

რჩეული მოკრივეები

# საკუთარი დარბაზი, ახალი რინგი

## ბიჭები კვლავ პირველობენ



Კრივის სექციის ბიჭებს კარგად ვიცნობ: ტატოს, უჩას, გიორგის, გურამის, სოსოს. ისინი მაშინ გავიცანი, როცა ჯერ კიდევ ნინოწმინდაში ვარჯიშობდნენ, არ ჰქონდათ რინგი და რინგზე დგომა მხოლოდ შეჯიბრებებებზე თბილისში და სხვა ქალაქებში უხდებოდათ. მაგრამ, ურინგოდ ნავარჯიშები ბიჭები ისეთ „დღეში ყრიდნენ“ რინგზე ნავარჯიშებთ, რომ იმ რინგებიდან I ადგილი მხოლოდ მათ მოჰქონდათ. მარტი-აპრილიდან მათ საგარეჯოში გადმოინაცვლეს. აქვთ დიდი სავარჯიშო დარბაზი – რინგით, ჯერჯერობით სავარჯიშო 1-2 „მსხლით“, მაგრამ ახლა 30 ბიჭია ამ დარბაზში და მხოლოდ ნინოწმინდელები არ არიან, აქ საგარეჯოს №1, №2, №4 საჯარო სკოლების მოსწავლეებიც არიან. ჯერ კიდევ ელოდებიან მომავალი მოკრივეების შემომატებას. თუმცა ამ დარბაზში ჩემი სტუმრობისას უკვე მოსულიყო კიდევ ერთი კრივის ახალი მოყვარული, საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელი – ნიკა კუზანაშვილი. სიმართლე გითხრათ, კარგა ხანს ვუყურე ნიკას ვარჯიშს, ისეთი წარმოდგენა შემექმნა, ნიკამ იპოვა თავისი შესაძლებლობების გამოვლენის ადგილი, გარემო და სრულად „აკონტროლებდა“ ყველაფერს. ვფიქრობ, ნიკა აღმოჩენა იქნება გარეჯული სპორტისათვის – საოცარი კუნთები, მუშტი, ენერგია – დაუშრეტელი, სურვილი – დაუოკებელი – ივარჯიშოს, ოღონდ უაზროდ კი არ ხარჯოს მოზღვავებული ენერგია, არა, აზრიანად, გონივრულად. ძალიან უნდა მოკრივე გამოვიდეს, მისი უფროსი, 14 წლის ძმა რაგბისტია, პატარძეულელ „ვეფხვებშია“, და – სალომე ქორეოგრაფიული ანსამბლის წარმატებული მოცეკვავეა. ნიკას მეზობელმა ბიჭმა ასწავლა კრივის ილეთები და ბოლოს მამაც დაითანხმა კრივზე მოსულიყო. თუმცა, სამბისტი ნათესავი უშანგი კუზანაშვილი ჭიდაობის სექციას ურჩევდა. მაგრამ, არა, ნიკამ კრივი არჩია და მწვრთნელის ზურაბ იმნაძის გაცნობაც სწორედ დღეს შედგა. პირველი გაკვეთილიც მიიღო მისგან და



ისეთი სერიოზულობით და შემართებით დაიწყო ვარჯიში, სხვა სამყარო აღარც არსებობდა.

ნელ-ნელა შემოემატნენ დარბაზში გარეთ ნავარჯიშები დათო ბექაური და ნიკა კუჭუაშვილი, ჩემი ნაცნობი ნინოწმინდელი მოკრივეები და „გახურდა“ კიდეც ვარჯიში.

1 ოქტომბრიდან დაიწყო კრივის სექციამ სპორტული ცხოვრება, ამ ორ კვირაში ორი შაბათი თბილისში ტატამზე გაატარეს ნორჩმა მოკრივეებმა და სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელობას 14 პირველი ადგილი მოუტანეს – მოკრივეები თავიანთ სიტყვას არ ღალატობენ – პირველობას არავის უთმობენ, მითუმეტეს, ახლა ახალი რინგი და საკუთარი დარბაზი, საკუთარი მწვრთნელი, გამოცდილი პედაგოგი და ერთ დროს აღიარებული მოკრივე ზურაბ იმნაძე ჰყავთ – უღალატო, მონდომებული, თავის მოსწავლეებზე უზომოდ შეყვარებული...

წარმატებები, პატარა მოკრივეებო!

---

ხსოვნა

## ლიუსი როსტიაშვილი



ობლობა აკვნიდანვე დაგებედა. მეორე მსოფლიო ომის ჯარისკაცის ქვრივისა და მამიდების გაზრდილმა მაინც წარმატებით დაამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და პედაგოგის რთული და საპატიო მისია იტვირთე.

ცხოვრების მეგზურად ფალავანი კაცი აირჩიე და ქვეყანას ორი ვაჟკაცი აღუზარდეთ.

საქმით და მოწოდებით პედაგოგს წლებმა დაგათოვა საგარეჯოელი პატარებისათვის მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და სიყვარულის სწავლებაში. ერთი სახელი შენც გქონდა და აღიარებაც, რადგან უშურველად გასცემდი მათზე ცოდნასა და სიკეთეს. პედაგოგის შესაფერი მოთმინებით იტანდი გასული საუკუნის 90-იანი წლების სიმძიმეს, უფულობას, უშუქობას, გაჭირვებას, თვითონ გაჭირვებული ცდილობდი სხვებისათვის გაგეყო ლუკმა-პური და გაჭირვება შეგემსუბუქებინა. ბოლომდე მაინც ვერ შეძელი ამ ცხოვრების ბედუკუღმართებასთან გამკლავება. ბედმა ობლობის სიმწარე არ გაკმარა და უკურნებელი სენით ახლა ავადმყოფის სარეცელს მიგაჯაჭვა, ალბათ იმისათვის, რომ კვლავ გამოეცადა შენი მოთმინება.

ახლა კი უკვე შენი სული ზეცას შეერთო და იმედია, იქ მაინც შეხვდები შენს უნახავ მამასა და იმქვეყნად უდროოდ წასულ ნათესავ-მეგობრებს.

ღმერთმა სამუდამო სამკვიდრებელი დაუმკვიდროს შენს სულს ცათა შინა.

*გივი დაბახიშვილი ოჯახით*

---

ხაშმის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იუწყებიან ამავე ორგანოს რწმუნებულის ყოფილი თანაშემწის

**ნატო ციქურიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გომბორის რწმუნებულს გიორგი ჭინჭარაულს დედის

**იამზე ჭინჭარაულის**

გარდაცვალების გამო.

---

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გარეჯის მაცნე

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru